



ლიტერატურული მემკვიდრეობა

№9 (286)
სექტემბერი
2022 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათიანი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

ილია ჭავჭავაძე - 185

პანბანგ ბურული

ვიკი, რამეთუ მესია მოვალს...

იოანე, 4, 25.

დღეს, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 185 წლის შემდეგაც კი, ისმის კითხვა: XIX საუკუნის 60-90-იანი წლების დიდმა ეპოქამ შვა ილია თუ ეპოქა იყო ილიას მიერ შექმნილი, ილიათი განსაზღვრული? ჩვენ გვნამს: ეპოქა, რომელმაც იხსნა ქართველი ერი და საქართველო, შექმნა ილიამ. ილია იყო იდეის მიმცემი, მისი განხორციელებისათვის ბრძოლის წინამძღოლი და სამშობლოსათვის შეწირული.

I. ილიამდელი საქართველო

შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფოებრივი კრიზისი XIX საუკუნის დასაწყისში (1801-1814 წწ.) ქართული სახელმწიფოებრიობის მოსაზრებით დასრულდა: ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. სახელმწიფოებრიობის დაკარგვას მოჰყვა ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვაც – გაუქმდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (1811-1814 წწ.). რუსეთის საიმპერატორო კარმა XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დაიწყო კარგად გააზრებული კოლონიური პოლიტიკის გატარება, რომლის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად.

ილიამდელი საქართველო, ანუ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო, მართალია, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, მაგრამ ქართველი ერი იდეურად ჯერ არ იყო დამორჩილებული. საქართველოში რუსეთის ბატონობის პირველსავე წლებში ნათელი გახდა ერთი მეთად საყურადღებო ტენდენცია: პრორუსული ორიენტაციის ძალებში იმედგაცრუებამ დაიხადგურა. რუსეთმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა და მის მომხრეებს ცივი წყალი გადასხა. დაიწყო ანტირუსული ძალების გაძლიერება. ეს ტენდენცია აშკარა გახდა ბაგრატიონთა სამეფო სახლში (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლებში), ქართველ არისტოკრატიაში (თავადებსა და აზნაურებში) და ქართველ სამღვდელთაში (თეთრ და შავ სამღვდელთაში). 1871 წელს დაწერილ ლექსში – „რა ვაკეთეთ, რას ვმერბოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ – ილია ჭავჭავაძე ამ მოვლენას ასე წარმოადგენდა:

„მერე, როცა ვაკვირდებოდი
ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
როს სამეფლად მონვეულმა
საგვიჭირა თოკი ყელში...“

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სუსხი, „ყელში თოკის ნაჭერა“ ერთდროულად იგრძნეს როგორც ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლებმა, ისე არისტოკრატიაში და სამღვდელთაში. ცოტა მოგვიანებით კოლონიური რეჟიმის აუტანელი სიმძიმე დაანწავ გლეხობასაც. სამეფო სახლი, არისტოკრატია და სამღვდელთა იქცა ანტირუსული ეროვნული მოძრაობის იდეურ და პრაქტიკულ წინამძღოლად. ქართველი ერის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა – გლეხობა (საბატონო, სამეფო და საეკლესიო) სამეფო სახლის, არისტოკრატისა და სამღვდელთა მისწრაფებებს იზიარებდა. რუსეთის ბატონობის პირობებში გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გლეხობაში ანტირუსულ განწყობილებას აძლიერებდა.

ანტირუსული ეროვნული მოძრაობის გამოვლინებას წარმოადგენდა კახეთის პოლიტიკური

გამოსვლა (1802 წ.), ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804 წ.), იმერეთის აჯანყება (1810 წ.), კახეთის აჯანყება (1812 წ.), იმერეთისა და გურიის აჯანყება (1819-1820 წწ.) ამ აჯანყებებში, პრაქტიკულად ომებში, რუსეთის რეგულარულ არმიასთან სამეფო სახლი, არისტოკრატია, სამღვდელთა და გლეხობა ერთმანეთის მხარდასმარ იბრძოდა. ეროვნული აჯანყებები დამარცხდა, თუმცა მას უკვალოდ არ ჩაუვლია. XIX საუკუნის დამდეგის აჯანყებებმა მოამზადეს ეროვნული მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი – 1832 წლის შეთქმულება.

1832 წლის შეთქმულებამ ცხადი გახდა ბაგრატიონთა სამეფო სახლის, არისტოკრატისა და სამღვდელთა ძლიერი ანტირუსული განწყობილება. 1832 წლის შეთქმულება დამარცხდა. ეს იყო ძლიერი დარტყმა ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე. მარცხს ბუნებრივად მოჰყვა იმედგაცრუება. კიდევ უფრო სავალალო იყო შეთქმულთა საქმის ძიების შედეგი. 1832 წლის შეთქმულების მასალების შესწავლა გვარწმუნებს მეტად სამწუხარო შემართებში: მოხდა მთელი ანტირუსული ეროვნული ძალების ლუსტრაცია. გამოიძიებამ დაადგინა: შეთქმულების

„რა ვაკეთეთ, რას ვმერბოდით...“

ახალგაზრდობაში ნელ-ნელა დაიწყო დამკვიდრება რუსულმა მოქალაქეობამ. ლექსში – „რა ვაკეთეთ, რას ვმერბოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ – ილია ჭავჭავაძე 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრებულ განწყობილებას ასე წარმოგვიდგენს:

„მერე, როცა მავ ბეზლობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი,
ჩვენ თავიდან ავიციდნეთ.“

ბეზლობაში ილია ჭავჭავაძე გულისხმობს იასე ფალავანდიშვილის მიერ შეთქმულების გაცემას და ზოგიერთი შეთქმულის მიერ, ნებსით თუ უნებლით, სხვა შეთქმულთათვის საგამომძიებლო კომისიაში საზიარო ჩვენების მიცემას.

რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო უწყებაში სამსახურის შოვნის, ანუ დამპყრობელთან შერიგების მზარდი ტენდენცია კი ილია ჭავჭავაძემ იმავე ლექსში ასე დახატა:

„რა ვაკეთეთ? რას ვმერბოდით?“



საქართველოს მხსნელი

თითქმის ყველა მონაწილე ბაგრატიონთა სახლიდან, არისტოკრატებიდან და სამღვდელთაგან იყო. 1832 წლის შეთქმულების დამარცხება და ანტირუსული ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა ლუსტრაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები კიდევ უფრო სავალალო ხდებოდა იმ საფრთხის პირობებში, რომელიც ობიექტურად მომწიფდა საქართველოში. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის (1801-1810 წწ.) ბაგრატიონთა სამეფო სახლის, არისტოკრატისა და სამღვდელთა მსოფლმხედველობას განსაზღვრავდნენ ის ადამიანები, რომლებიც 1801 წლამდე ანუ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე დაიბადნენ, სწავლა-განათლება ქართულად მიიღეს, მოქალაქეობრივი და ეკლესიური მრწამსი ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის პერიოდში ჩამოუყალიბდათ. ეს ადამიანები მონაწილეობდნენ 1802-1820 წლების ანტირუსულ ეროვნულ მოძრაობაში და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც ისინი წარმოადგენდნენ. მათი ნაწილი 1802-1820 წლების ანტირუსულ ეროვნულ მოძრაობას შეეწირა, ნაწილი ციხეებსა და გადასახლებებში გარდაიცვალა, ნაწილი – ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა.

რუსეთის იმპერიის სამხედრო სასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში) აღზრდილმა ახალი თაობის ქართველი თავდაზნაურებმა წარმომადგენლებმა მასობრივად მიიღეს სამსახური სამოქალაქო და სამხედრო უწყებებში. ქართველი არისტოკრატის ეს თაობა ნაწილობრივ აღარ იყო იმ იდეების მატარებელი, რომელიც განსაზღვრავდა წინა თაობების მოღვაწეობას.

– „Hanneuo“ ბა ვასანაველო, –
მთავრობას ვებეზუბოდით.“

სიტყვებში: „ნააღიჭობა ვასანაველო“, ილია გულისხმობს რუსეთის სამხედრო სამსახურში ქართველი ახალგაზრდობის შესვლის მისწრაფებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ არისტოკრატიაში რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას საყურადღებო და შეუქცევადი ხასიათი არ მიუღია.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ბაგრატიონთა სამეფოს სახლის წარმომადგენელთა როლი ეროვნულ მოძრაობაში თანდათან უმნიშვნელო ხდებოდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია და საქართველოს საეკლესიო ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგიდან (1802-1803 წლებიდან) შეუდგა ქართველი სამღვდელთა შეწირვების, მის ჩანაცვლებას რუსი ეროვნების ღვთისმსახურებით. ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811-1814 წწ.) შემდეგ. მალე თბილისისა და სხვა ქალაქების ეკლესიები რუსი სამღვდელთა ხელში აღმოჩნდა. ქართულ ენაზე ღვთისმსახურება მხოლოდ სოფლად მდებარე ეკლესიებში მიმდინარეობდა. რუსი სამღვდელთა ხელში აღმოჩნდა მთელი სასულიერო განათლება (თბილისის სასულიერო სემინარია და ყველა სასულიერო სასწავლებელი).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნული მოძრაობა შენედა, შესუსტდა. შენელების, შესუსტების პერიოდი სამი ათეული წელი – XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგამდე – გაგრძელდა. ეროვნული მოძრაობის შენეების,

შესუსტების პროცესი იყო თუ არა კანონზომიერი მოვლენა? ილია თვლიდა, რომ იყო: „მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლების წენვა-გლეჯვამ ჩვენი ერი მოჰკლა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი და აკარგინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუფრდა და, თითქმის ნმა-ამო-უღებლივ, დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედს და გარემობას... ხანგრძლივ შფოთის შემდეგ სვენება უპრინაია, როგორც ცალკე კაციასათვის, ისე მთელი ერისათვის. ამას ბუნება ითხოვს.“

1832 წლის შემდგომ ათწლეულებში ისე ჩანდა, რომ რუსეთის იმპერიის სამოცნიარო კოლონიურმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო: ქართველობასა და საქართველოს სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

რატომ აღმოჩნდა საქართველო ასეთ მძიმე მდგომარეობაში, რა იყო ამის მიზეზი? მიზეზები შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლიობაში უნდა ვეძებოთ. საქართველოს დამლას სამეფო-სამთავრობად მხოლოდ ქვეყნის დასუსტება არ გამოუწვევია. სამეფო-სამთავროებს შორის დაიწყო გაუცხოების დამღუპველი პროცესი. ირანისა და ოსმალეთის სამასწლიანმა ბრძოლამ საქართველოში გაბატონებისათვის, რასაც თან სდევდა ეკონომიკის სწრაფი და სოციალურ ურთიერთობათა მოშლა, სწავლა-განათლების კერების განადგურება, უცხო ძალის ვაზრებული ბრძოლა ყოველგვარი ტრადიციული ქართული წინააღმდეგ, შეცვალა ქართველის ფსიქიკა. ეს ცვლილება შეეხო ყველა სოციალურ ფენას. ფსიქიკის შეცვლამ გამოიწვია ტრადიციული ქართული ღირებულებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და შემდეგ – ამ ღირებულებების გადაფასება, დავიწყება.

საქართველოში ირანისა და ოსმალეთის სამასწლიანმა ბატონობამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას. XIX საუკუნის დამდეგიდან ექვსი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კარგად ორგანიზებული შეტევა ტრადიციული ქართული ღირებულებების საბოლოოდ მოსპობის მიზნით. ირანისა და ოსმალეთის შემდეგ უკვე რუსეთი ცდილობდა ქართველის ცნობიერების შეცვლას, რუსეთისადმი მორჩილების და წერგვას და რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას.

„ბედნიერი ერი“

ქართველი ერი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიება ითხოვდა პასუხს კითხვაზე: როგორ მივიდა ქართველობა ამ სავალალო მდგომარეობამდე? ამ კითხვაზე სწორ პასუხს უნდა დამყარებოდა სხნის გზის ძიება. მდგომარეობა კი სავალალო იყო. აშკარად იგრძნობოდა: სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი; ეკლესიური აზროვნების შესუსტება; სწავლა-განათლების კერების მოშლა; გაუცხოების ნიადაგზე აღმოცენებული კუთხურობა; ეროვნული ცნობიერების დაკნინება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მარადიული ეროვნული ღირებულებების შესუსტება და ქართველის ფსიქიკის შეცვლაში გამოიხატა. ირან-ოსმალეთის სამასწლიანი და რუსეთის სამოცნიარო ბატონობის პირობებში ქართველის შინაგანი სამყაროში მომხდარი ცვლილებები, ტრადიციული ქართული ღირებულებების დათმობა და ქართული სინამდვილისათვის მიუღებელი მენტალიტეტის (უპირველს ყოვლისა, ბედთან შერიგების) დამკვიდრება ძალზე მწვავე ფორმით წარმოაჩინა ილია ჭავჭავაძემ 1871 წელს დაწერილ ლექსში „ბედნიერი ერი“:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალბით,
ლამაზ ფაღვით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედრეკილი, მადლიერი;
უფთოველი,
ქვემდრომული,
რიგანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯიორ-ცხენი,
ნახუნდი და ღონიერი.“

მზე სიბრტყელზე! დიდი? — სიბგდილი!

სამყაროში მზე უთვალავ პლანეტაზე უჩვეულო ზნეობრივ სიკეთე-სიცოცხლე მოუწოდებელი...

ბა-მოვლენა უძველესი კოლხეთისა და ანტიკური ქვეყნების სინაზის ცრემლმა უნდა ჩაახრჩოს...

ხოლმე რუსი ემიგრანტები, — ლენინმა რუსეთის მონივნად ინტელიგენცია სამუდამოდ დაასამარაო...

მოხანავე პუტინის ძარღვებ-კაპილარებში და ყველაფრის ლეოტიურ-კოსმიურ-ადამიანური ჭეშმარიტების მიმართ ანგარიში თუ უმცირესი პატივიც კი...



შინამდ ვარდაქმნილი გველსახისა, გვართმევენდენ ყველაფერს — თავისუფლებას, ნიჭს. გვირევენდენ შორეულ გენეტიკას, გვიხმობდენ კეთილ ინსტინქტებს...

სამყაროთა აურაცხელ გალაქტიკებში გამუდმებითი ცეცხლოვან-გრიგალისებური წევა უზარმაზარი და ურთიერთგანადგურებით გაურკვეველ...

ვაქტი სახეზეა, ჩვენი სამწარაოდ, ვერცერთი ზეძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილმობილებას. ეს კი, საერთო ქვეყნური მარადიული უსასრულო ტკივილ-ტრაგედიაა; კაენი? — მხოლოდ დამდაცება!..

მინიურ-ადამიანური ზნეობის, სიყვარულისა და ლეოტიური სიკეთის ურყევი მრჩევლისა-სადაცღვებელი მხოლოდ მართალი კანონ-კონსტიტუციისა, რომელიც ადამიანებს ორივე ქვეყანაში აუცილებელად გეჭირდება, რათა გზა გაეკვლიათ კოსმიურ უკეთილმობილესი სინათლისკენ...

ყოველთა ნაღველსავე დასკვნა: ადამიანური ურთულესი და უცნობ ბოროტ ძალთა აღკვეცა, თურმე, ძალიან მძლეა. ისევე მზის უზარმაზარმა ენერჯის გავლენა მიუწვდომელმა კოსმიურმა ინტელექტმა, უსაზღვრო სიკეთის და ყოველთა განურჩევლობაში უნდა გვემუხღო-გადაგვარჩინოს...


უკვე დროულად, გმირული ხმა-შემტევი უნდა დაარსდეს უკიდურესი, სამართლიანი პრეტენზია-მოთხოვნით, პირველ რიგში, ამომავალი მზის ქვეყანამ — იაპონიამ, უძველესმა ერმა — ჩინეთმა, საოცრებამ — ინდოეთმა, საუკუნის მონივნად და მრავალმხრივი პროგრესის — ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყანამ, უკლებლად მთლიანად ევროპამ, მზე ბოლოქარამ აფრიკამ, კლიმატურ-თივლიანმა მთებმა ზეცას უნდა მიანვინონ უკიდურესი მინიური განხეობის ხმა და კავკასიის მთებმა, რისი მონა-მორჩილი მეც გახლავართ, მეც ბოროტებან უკვე შენირული, ასევე მრავალცივილიზაციითა ავტორმა ახლამ და უძლიერეს-უძველესი სამხრეთის ქვეყნებმა, ამ შემთხვევაში ისრაელის საგანგებო ბიბლიური გუგუნი ყოვლის მტვერად სივრცეს უნდა აზანზარებდეს. საოცრე-

გოვრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდნ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარა ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუშავთ, და მის მუქეგ კიდევ გვიხდა, რომ ენა გვერდებს? კუთხურობის გაძლიერებისა და გაუცხოების პროცესის დაწესება, ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ბზარის გაჩენა, ქრისტიანული ზნეობის დაცემა საქართველოს ამიერ-სამთავროებად დაშლისა და დამტკიცება (სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის) ხანგძლივი ბატონობის შედეგი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ქართველ ერს კიდევ ერთი დიდი საფრთხე დაემუქრა...

ყოველთა ნაღველსავე დასკვნა: ადამიანური ურთულესი და უცნობ ბოროტ ძალთა აღკვეცა, თურმე, ძალიან მძლეა. ისევე მზის უზარმაზარმა ენერჯის გავლენა მიუწვდომელმა კოსმიურმა ინტელექტმა, უსაზღვრო სიკეთის და ყოველთა განურჩევლობაში უნდა გვემუხღო-გადაგვარჩინოს...

ყოველთა ნაღველსავე დასკვნა: ადამიანური ურთულესი და უცნობ ბოროტ ძალთა აღკვეცა, თურმე, ძალიან მძლეა. ისევე მზის უზარმაზარმა ენერჯის გავლენა მიუწვდომელმა კოსმიურმა ინტელექტმა, უსაზღვრო სიკეთის და ყოველთა განურჩევლობაში უნდა გვემუხღო-გადაგვარჩინოს...

იბისთანა, რომ შენ კოლი არ გამოაბა? მიირთვიც რომ ვითბრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართვიც, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებით შენი ცხელი ჩავიდვია. შემობრძნდი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზე ჰკიდია, სახეყნად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ კი კოლია! ვიზმარე და შენი ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვიშობ, რომ მეც სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმემ თავისი ნამხდარისა და გარყვნილის ვინების აზრი რომ მიანჯროს! ილია აშკარად მიანიშნებს დიდ ეროვნულ საფრთხეზე: ქართველთა გაუცხოების, კუთხურობის გაძლიერების, საერთო-ქართულის დაჩრდილების და ზნეობის დაცემის პროცესი თუ შეუქცევადად გაგრძელდა, საფრთხე დამუქრებოდა ქართულ ენას; სადღა არის ენა ქართული ენა? ან გვიხდა-და ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაძლუპავად ქართველობაზე ხელი ავიღეთ? ვინებით რომ აღარ ვსცდით, ქართულს ენას აზრს რომ გორლა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარ ვართ, ერთიან სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოგხსობთ ჩვენს ენასა? თუნდაც რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად ვინდათ, ენას აზრს ვინდა სიტყვა? ჩვენ თითონ დევცალირდით გუდაფშუტასავით, ცალკური სიტყვებითა ვვინდა, ცალკური ხმებით, რომ ენა პირში იტყვიოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის ვვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძობად გახდა, მამული დანჯვილ ნაფუქვრად გადავაქციეთ, პატივი — ნეტად, თავი



ილია ნ. ივლიას. საგურამო. ილიაობაზე. დავით შულღიასვილის კოლექციიდან

ნების განდანალებების პროცესი ამ დაპირისპირებას ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. ცხადია, სოციალური დაპირისპირების შეუქცევადი პროცესი ძლიერ დარტყმას მიყენებდა ერთიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებას. ეს საფრთხეც ქართულ სიანამდვილესი პროცესულად ილიამ გააცნობიერა უკვე კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს: „ქართველთა არ არიან, მამ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაური, მღვდლები, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი — დედანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს — თავადი, გლეხს — ორივე, ნუთუ ესენი ქართველი არიან, ქრთის დედის საქართველოს ოჯახის შვილინი? თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — სააზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველი არიან, ქრთის თესლზედ აღმოსულინი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადს, ორივენი — გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველი არიან, ქრთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ქრთის დედის საქართველოს მშუპთი გაზრდილინი?“ ამ დაპირისპირების მწარე ნაყოფი საქართველომ გაცილებით გვიან, XX საუკუნის დასაწყისიდან და შემდგომ ათწლეულებში მოიმკო. ილიამ შეძლო ქართველთა გაუცხოების სამხრობის დაძლიება, საერთო-ქართულმა გაიმარჯვა კუთხურობაზე, მაგრამ სოციალურ ნიადაგზე ქართველთა დაპირისპირების თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული ეპოქა ილიას აღარ უნახავს, იგი მხოლოდ ამ სიხლიანი ისტორიის პროლოგს მოესწრო. (გაგრძელდება იქნება)

მაია ბათიაშვილი

სიკვდილი სარკეა, სადაც ჩვენი ცხოვრების ყოველი უაზრო ქმედება ირეკლება. იგი თითქოს ნათელს ჰფენს ჩვენს ცხოვრებას, რადგან თუ სიკვდილს მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ არც ჩვენს ცხოვრებას ჰქონია აზრი.

ოქტავიო პასი

დილის ხუთ საათზე გაეღვიძა. სამშაბათი თენდებოდა. მთელი ღამე ბორგავდა. არ ვიცი, ამას ძილი თუ ჰქვია. ყოველ ჭრაჭუნზე სუნთქვა ეკვროდა, თითქოს გული დანის წვერზე უფეთქავდა. თვალი გაახილა, ჯერ კიდევ ბნელოდა. ჩაშავებული ცა ოთახში ჩაღვრილიყო. ნამით მოეჩვენა, რომ არც არასდროს განათდება. ხელში ჩაბღვრილი საათი თვალზე თან მიიტანა. სინათლის ანთებას არ აპირებდა. საათს ფოსფორის ციფერბლატი ჰქონდა და დროს გარკვევით არჩევდა. ისრებს ჩააშტერდა. ათი წუთი გასულიყო მხოლოდ. სასონარკვეთისაგან თვალზე ხელები აიფარა. სახეზე ოფლმა დაასხა, თითქოს სველი სუდარა გადააფარეს.

– ღმერთო, ჩქარა, ჩქარა გათენდეს. ისევ შემომიბტია. – ტკივილისგან სახე დაექიმა.

ოჰ, ეს ტკივილი, ყრუ და გაუთავებელი, დუჟმორეული აფთარივით გარს რომ უგლის, დასუსტებული ნადავლივით ხელში ჩაუგდია, ნელ-ნელა ღლის, სიბნელისკენ მიათრევს, მოთმინებით ელოდება, როდის ჩაუდგება შიში სხეულში და ფართოდ გახელილი თვალებით უსიტყვოდ დანებდება. ო, როგორ დაიწყებულა გამარჯვებული, ნერწყვით გაღებულ კბილებით დაენაფება მის ცხოვრებას, ბოლომდე სულმოუთქმელად შეისრუტავს... ფიქრები მოუდუნდა. ისევ ძილისკენ მიდიოდა. თვალბუკნით ჩამოუგორდა და ბალიშის პირი დაუნამა.

– ღმერთო, როგორ მომენატრება ყველაფერი ეს. როგორ გავფორდებ მათ, ვინც უგონოდ მიყვარს. ღრმად ჩაისუნთქვა, კედლებიცი კი ნამლის სუნს გაეჟღერებოდა. – ნანლაგების ანთება გაქვსო. ხელი გაიქნია, თითქოს ვიღაცის მოგერიებას ცდილობდა. რამდენი წამალი მიიღო ამ მოკლე დროში. „ანთებას ხომ იცი, დრო უნდა. გაივლის. ცოტა უნდა მოითმინო...“ „ჰო, მოვითმენ. თუ საჭიროა, თავს მოვიტყუებ, ოღონდ კიდევ ერთი დღე, კიდევ ერთი თვე, ერთი წელიწადი მაინც.“ ცრემლები მოიწმინდა. ყვირილი უნდოდა, გულის განგმირავი, როგორმე ღმერთამდე რომ მიეღწია.

– არა, სიკვდილის სულ არ მეშინია. ადრე თუ გვიან ხომ უნდა მოხდეს. შიში არაფერია იმასთან, რასაც სინანული ჰქვია. ძნელია, დატოვო ყველაფერი, რაც გიყვარს: ეს მზე, ეს ქუჩა, ეს სახლი და თქვენ, ჩემო...“ ხველა აუვარდა, ცდილობს შეიჩეროს. ჩუმად ჩაახველა და თევზზე დაყრილი წამალი თითებით მოძენა. აღარ შევლოდა, მაგრამ, ეგებ დაეძინა. ტკივილი უმატა. შიგნით ენვოდა.

– „რა გამიკეთეს ასეთი, თითქოს უარესად ვარ.“ ხელის გულზე მოთავსებულ მონთალო აბს დააქცერდა. „გამიფლის. უბრალო ანთებაა, სხვა ხომ არაფერი!“ თავდაც გაეღვიძა. ხედება. ბავშვი ხომ არ არის. თავის მოტყუებაც ცუდად

გამოსდის, მაგრამ სურვილს ვერაფერი მოუხერხა. – „რა ვქნა, თუ მწყურია სიცოცხლე?! ღმერთო, შენ ძესაც ხომ სწყუროდა.“ ბალიშისპირი სულ დასველებოდა. „კიდევ მაქვს დრო. ამ დროში ხომ უამრავი წამია.“ მთელი სამყარო ნამსხვრევებად ეყრებოდა თავზე, ის კი უმნეო ფიქრებით აპირებდა მათ შეკონინებას. – „სად დავუშვი შეცდომა? რატომ?“ მკერდზე აფარებული საბანი ჩაინია. სული ეხუთებოდა. – „უნდა მოვასწრო ცხოვრება. უნდა მოვასწრო. არავითარი

დენიმი ხანში გაგივლით.“ – ექიმი გულდასმით სინჯავდა და დროდადრო რჩევებს აძლევდა.

– „შევეცდები, უკეთ ვიყო!“
– „ყველაფერი კარგად იქნება!“ – ახალგაზრდა კაცი მთელი ძალისხმევით ცდილობდა დაემაღლა სახეში ჩამჯდარი ნერვიულობა. – „ანალიზებიც ხელს გვიწყობს. მთავარია, დანიშნულების ზუსტი შესრულება და თქვენი ოპტიმიზმი. თქვენ გამოკეთდებით და სულ მალე დაგავიწყდებათ...“

ვუზრდით. ეს შიშით გამოწვეული ემოციური ფონის შედეგიუნდა იყოს.“

ხანში შესული ქალბატონი თვალცრემლიანი შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს.

– „დავიღუპეთ?“ – ნათქვამი ხმამალა მოუვიდა.

გამოეღვიძა. ოთახი მოათვალიერა. მთელი სხეული დამძიმებოდა.

– „გაიღვიძეთ? დილა მშვიდობისა. თავს როგორ გრძნობთ?“

დაბნეული იყო. რაღაც ეცნო, მაგრამ,



თავის შეცოდება. ამჯერად არა! არავითარი უმოძრაობა. ღმერთო, რამდენი რამ მაქვს გასაკეთებელი. რამდენი სისულელეს ვაკეთებდი. რა აბსურდია, ნული.“ გარეთ გასვლა მოუნდა. თითოეულ სახლს დაიმახსოვრებდა, თითოეულ ქუჩას, თითოეულ გამოსხედავასა და ნათქვამ სიტყვას. რამდენი რამ აღარ ახსოვს. როდის შემოიფანტა მოგონებები? გამჭვირვალე ხელებით ცრემლები მოიწმინდა. ამაოდ ცდილობდა მზარდი უძღურების შეჩერებას. ტკივილი ოდნავ მიუყურდა, თითქოს სინათლით შემინებულმა უკან დაიხია. გაზაფხულის თბილი დილა მშვიდად და უდრტივებლად დაეფინა სახეზე.

– „ამბობენ, იქაც სინათლეა, მარადიული სინათლე განუსაზღვრელ სივრცეში.“ ბავშვობა გაახსენდა. „იქ მეტი სინათლე იყო. იქ ბედნიერი ვიყავი.“ წარსულში გადასული მისი ცხოვრება ხანგრძლივი მოგზაურობისთვის ემზადებოდა. თვალები მილულა. ჩანოლილი მძიმე ჰაერი დღის სიმსუბუქით ივსებოდა. თეთრად შეღებილი ოთახი მზის სხივებს დაეხაზა. ტკივილი ისევ ყრუდ ანუხებდა, მაგრამ მთელი მისი არსება იმედსა და ქმედების სურვილს მოეცვა. – „რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდი და არ ვაფასებდი, თურმე რა ტკბილი ყოფილა.“ – გაიფიქრა...

კარი გაიღო და ოთახში შემოსულმა ახალგაზრდა ექიმმა სანდომიანად გაუღიმა. მხოლოდ ღრმად ჩამჯდარ თვალებს და ამოდრავებულ ბაგეებს ხედავდა. ასეთი რამ არასოდეს განუცდია. ალაპარაკებულ პირს დააშტერდა. მას მხოლოდ ერთი სიტყვა უნდოდა, ერთადერთი პასუხი.

– „დილა მშვიდობისა. აბა, თავს როგორ გრძნობთ?“

– „გმადლობთ...“ – სუსტი ხმა ძლივს გასაგონად ისმოდა. ვერ დააბოლოვა. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ იგრძნო, ხმას ვერ დაიმორჩილებდა. ნესტოები ოდნავ შესამჩნევად აუთრთოლდა. თავს ძალა დაატანა და წუთიერი სისუსტე მოთოკა. სევდამორეული ღიმილიდან ძლიერი ხასიათი იმზირებოდა.

– „თუ ტკივილი ან ზიგვა გქონდეთ, არ შეუშინდეთ, წამლის რეაქციაა. რამ-

კიდევ რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ აღარ უსმენდა. ის გრძნობდა მას. ის იქ იყო.

ოთახში შემოსულმა ექთანმა რაღაც წამალი გაუტყუა. წამლით გაბრუებული თითქოს ნაკლებად გრძნობდა ტკივილს.

– „ყველაფერი კარგად იქნება, მართლაც!“ – ღიმილით გაიმეორა. თითქოს თავს აჯერებდა. – „რა თქმა უნდა, გამომივა.“ – ჩუმად ჩაილაპარაკა, იმდენად ჩუმად, რომ მოეჩვენა, არც კი უთქვამს რამე. ცას გახედა, ქაფმომდგარი ნელ-ნელა უახლოვდებოდა მის ფანჯრებს. ექიმის სიტყვები ყრუდ ჩაესმოდა. სადღაც შორს დაფრინავდა.

– „საკვირველია, ასე მოკლე დროში როგორ დამძიმდა ცა. ალბათ, განვიმდება.“

უცნაური სიმსუბუქე იგრძნო. ოთახში ატეხილი ხმაური შემოესმა. კარები გახსნეულნი იდებოდა და იკეტებოდა.

– „უშველეთ! მიშველეთ! გესმის ჩემი ხმა გაშვით? არა, არ ნახვიდე! არ ნახვიდე, გესმის?“

გაოცებული მზერა დაფლეთილი ბაირალივით დაეკიდა სახეს.

ერთავად გათავისუფლდა. ზემოდან დაჰყურებდა ლოგინზე დამხოზილ გოგონას, ჭკუარეული ჩასძახოდა საბრალო და თავზე ეფერებოდა. კედელთან აკრულ ხანდაზმულ მანდილოსანს თმაში წაველო ხელი, ხმამალლა მოთქვამდა. ოთახი ხალხით გაივსო.

გულში ჩაიკრა ისინი, ისეთი სინაზით, რომ ვერც კი იგრძნეს.

– „მე თქვენ მიყვარხართ, უზომოდ მიყვარხართ.“ – დაიჩურჩულა და ფანჯრებთან მომდგარ ღრუბლებს შეერია...

– „ჩასძინებია, არ გააღვიძო.“ – ტუჩზე თითის მიდებით გააფრთხილა გოგონამ ოთახში შემოსული ხანდაზმული მანდილოსანი, უკან ახალგაზრდა ექიმი მოჰყვებოდა, ხელში რაღაც ფურცლები ეჭირა. – „მთელი ღამე ბორგავდა. წუთით ვიფიქრე კიდევ, მორიგე ექიმი შემომეყვანა.“ – მიმართა ექიმს. – „ხომ არ აჯობებდა, უფრო ძლიერი დამამშვიდებელი მიგვეცა, მშვიდად რომ დაიძინოს?“

– „დამამშვიდებელს უეჭველად გა-

რა? შინაგან ტკივილს და დაღლილობას გრძნობდა. არა, ეს არ იყო ფიზიკური ტკივილი. მექანიკურად ცას გახედა. ღრუბლის ნაგლეჯიცი კი არ ჩანდა. ექიმმა ფურცლები გაუნთია.

– „ეს თქვენი ანალიზებია. არაფერი გაქვთ სერიოზული. თუმცა მაინც ყურადღებით უნდა ვიყოთ. – მართალი გითხრათ, ძალიან ღელავდა.“

ექიმის სიტყვები ექოსავით ჩაესმოდა. ბალიშის ქვეშ შედებული ცხვირსახოცი გამოიღო და დანამული შუბლი მოიწმინდა. გული ძალუმად უძგერდა. ღია ფანჯარაში შემოჭრილი აკაციის სურნელი ოთახში იფრქვეოდა და საავადმყოფოს სუნში არეული თავბრუს ხვევდა.

– „მადლობა ღმერთს. ღმერთო ჩემო, როგორ ვინერვიულეთ. მადლობა ღმერთს.“ – საწოლთან მჯდარი ქალბატონი აკანკალებული ხმით ერთი და იგივეს იმეორებდა.

ჩაშავებული მზერა თანდათანობით დაენმინდა. გადახსნილი ფარდებიდან შემოვარდნილი ფოთლები მწვანედ უღივლებდა თვალწინ. ისევ მსუყე, თბილი ფერებით ივსებოდა. ის ბედნიერი იყო. სიცოცხლე ფოთლების ხმაურით ეგებებოდა. – „რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდი, არ ვაფასებდი, რა ტკბილი ყოფილა თურმე.“ – გაიფიქრა და გააჟრჟოლა, თითქოს გაყინული ხელით შეეხნენ დამთბარ სხეულზე.

– „ცუდად ხომ არ ხართ?“

ექიმის სიტყვებმა გონს მოიყვანა. ფანჯარას თვალი მოაცილა და ახალგაზრდა კაცს დააკვირდა.

– „ესე იგი, ყველაფერი დამთავრდა ყველაფერი კარგად იქნება.“

– „იქნება კი არა, ყველაფერი კარგად არის. მერწმუნეთ!“ – შევებით ამოისუნთქა. ალბათ, მაღალი სიცხე თუ ჰქონდა ღამე.

– „დიდი მადლობა, ჩემო კარგო.“ – გამომშრალ ხმას ძლივს იმორჩილებდა. თხელი ნესტოები აუთრთოლდა. თავი კედლისკენ მიაბრუნა და ბალიშზე სისველე იგრძნო. გაახსენდა...

ქაფმომდგარი ცა ნელ-ნელა უახლოვდებოდა მის ფანჯრებს.

გიორგი ალადაშვილი

გემშვიდობები

მზე თუ ვარსკვლავი არის ოცნების და ვარსკვლავთ გეგმა შენ დასადარად, ყოველი წამი იყოს, ოჰ, ნების! გემშვიდობები მარად და მარად.

დღე თუ ცხოვრება არის სიმშვიდე, ოჰ, ამ წამების ვრცელი საწყისო, და რაც არ უნდა ნასვლას მიმლიდე, გემშვიდობები სამარადისოდ...

რა დამრჩა ახლა მე მოსაყოლი, წვიმს, თოვს თუ ისმის მძლავრად ქუხილი. შენი ეზოდან ამოდის ბოლი... გემშვიდობები, მიმაქვს ნუხილი.

წელი კი ტყდება უკანასკნელი, მაქვს მოსაყოლი მხოლოდ გრძნობები. მხოლოდ მინდორი მეშლება ვრცელი, გემშვიდობები, გემშვიდობები!

და განა მართლა ვფიქრობ წარსულზე? წამები დარჩა და გული ფეთქავს. მე აღარ ვდარდობ უკვე წარსულზე. გემშვიდობები მე მხოლოდ ჩემს თავს!

სიცივისაგან ფოთლები ხმელი მხოლოდ შემორჩა ცხოვრების თავსად, აჰა! შორიდან მოსჩანს ეს ხელი. გემშვიდობები სიმშვიდის მსგავსად.

რისთვის ვიცხოვრე, რა სატკივარი... ოჰ, მოსაყოლი დამრჩა გრძნობები. ამ ფართო მდელს არ უჩანს ზღვარი, გემშვიდობები, გემშვიდობები...

მაიმუნების დასი

მოქცეულნი ვართ დროის მარყუჟში. ადამიანმა დაკარგა ფასი. – კაცობრიობის გონიერება? – მაიმუნების მცირეთა დასი!

რატომ ვესწრებით თეატრის აბსურდს, ტრიბუნებიდან ვუცქერთ სატირას, ტაშს თუ არ ვუკრავთ – მაინც ვესწრებით, ვუცქერთ ნერტილებს სიკვდილთა პირას.

მტკივნეულია წარსულის სისხლი, წასული შანსი, წარსულის სევდა. მტკივნეულია დღესაც შეცდომა, რაც უბედობის უამრავს მუდამ სდევდა.

ეჰ, რომ სიცოცხლეს არც რომ არასდროს არ ჰქონდა ფასი, არ ჰქონდა აზრი. გილოტინას ვუცქერდით მშვიდად. არ ვგრძნობდით სევდას, არ გვექონდა ბრაზი...

დროის მარყუჟში გვითრევს წარსული, ადამიანმა დაკარგა ფასი. – კაცობრიობის გონიერება?! – მაიმუნების მცირეთა დასი!

დროა გზას გავუდგეთ, დილა იწურება, დილას სასთუმალთან ფეხი მეკვეთება. ჩვენ კი ისევ გვეჯერა – ღმერთი იყურება, ციდან წვიმის ნაცვლად ცრემლი მენწვეთება.

კალამს აღარ ვითხოვ, ხელი მიდუნდება. ფარდავს ფანჯარაზე ჩრილი შესტყობია. წრფელი სიყვარული აღარ დაბრუნდება? ჩემში სიყვარულის გაჩნდა ეს ფობია.

კვამლით დაბურულა მთელი ოთახი და მახრჩობს გარემოცულს ნისლი ეს წამები, კალამს აღარ ვითხოვ, დარდი გაიზიდა. ცრემლმა ამოავსო წარსულს ნანამები.

სისხლი ჩაიღვარა ისევ თვალებიდან, ფარდავს სარკმელიდან უნდა გადაწევა. რაღაც, რაც მიბიძგებს, რაღაც ძალებიდან, მაინც არ გამომდის კალამს გადაწევა...

შენ თუ არ მომისმენ მაინც წავაქეზებ, მაინც ავამღერებ დროთა სიმარტოვეს. ლამის სიზმარიდან შემდეგ დღემდე გეძებ, სადაც მიუსაფრად მარად მივატოვეს.

დროა გზას გავუდგეთ, დილა იწურება... რაღა შევიყვარო, ფიქრი მეკვეთება. ცაზე ღრუბლის ნაცვლად კარი იხურება, ციდან წვიმის ნაცვლად ცრემლი მენწვეთება.

ნაწონ ქუჩას

ღამეს თეთრად გავათენ, წამით არ დავღონდები. დარდაც სიოს გავატან, შენ თუ მოგაგონდები.

დილავე, უცბად მოხვედი, დღევ, რა უცბად თენდები. ნაცნობ ქუჩას გავივლი შენ თუ მოგაგონდები.

გხატავს ღრუბლებს მხატვარი, წამო, როგორ ნელდები. თუ შორიდან ვერ მიცან, წამო! გაგახსენდები.

ღამეც ხელად გავიდა, თავიც ლამის მიწყდება. ნეტავ სიზმარ არ იყოს... თორემ დამავინწყდება.

ახლაც ისევ გავრბივარ, ახლაც ისევ ვღონდები, სადაც ქუჩას გავივლი სადაც მოგაგონდები.

სახლი ნისლეში

დროებამ ისე განირა ხალხი, თვით ხალხს აღარ სწამს ამ ქვეყნის თავად. თავისუფლება მგლებსაც მოსწყურდათ, მგელი კი მინდვრებს შემორჩა ავად.

მავთულხლართს უკან სამშობლო მოსჩანს. ის ერთი სახლიც ნისლებში დარჩა... სასიხარულოს რას ვიტყვით ახალს, თუ კი ამაო ყოფილა გარჯა...

ის ერთი კაციც ჰორიზონტს იქით, ივინყებს გზაში დახურულ კარებს. წარსულის სევდას თვალებით მალავს და ვერ უსწორებს მის წინ პატარებს.

ახალ სამშობლოს ვეღარ იბოვს, სულ ცოტა ხნის წინ სახლი დატოვა, მოგონებები დამარხა სახლთან. ნისლების იქით დაიწყო თოვა.

ფიქრობდა გზაში, სირცხვილი მწარედ შემოეხვია სახრჩობად კისერს. მოგონებები რომ აღარ გაქრეს გულის წიგნაკში ხელმარდად იწერს.

წარმოსახვაში არსებობს სახლი, არსებობს მდელი სახლიდან ვრცელი. წარმოსახვაში არსებობს მხოლოდ ეს დღევ წარსულის, უკანასკნელი.

მავთულხლართს უკან სამშობლო მოსჩანს. ის ერთი სახლიც ნისლებში დარჩა... სასიხარულოს რას ვიტყვით ახალს, თუ კი ამაო ყოფილა გარჯა...

მტერს რატომ ვეძებთ ნაპირის გაღმა, როცა წაგვართვა ნაპირი მტერმა. მხოლოდ მშვიდობა არჩია ხალხმა? მარტო ერთობა დაკარგა ერმა?

რაღაც ნოსტალგიას ისე გამახსენებს, ქვა-ქვა დანგრეული ციხე ამ შენობის. ლურჯა უსასრულოდ როცა გააჭენებს. დარდი გამიჩნდება ალბათ უშენობის.

გულზე დამემსხვრევა მთელი მოგონება. და თუ ნაკვალევზე გზას ვერ მივაგენი. და თუ ამიმღვრია დილაშ ამ გონება, იქნებ დამიმალო ბოლო განაჩენი.

განა უსასრულოს ეს დღე დამსგავსა? განა მთვარის შუქზე მოსჩანს ნაკვალევი? ვხედავ, ეს ბილიკი როგორ დაიხავსა, ერთდროს განვლილი და ერთდროს ნანვალევი.

სანამ ფეხებიდან მინა გამეცლება, სანამ იშრიალებს ქარი ჩემს ფანჯრიდან. სანამ მოთმინებით გული გამეძლება, უკვე ეგ პორტრეტი ორად გადამჭრიდა.

რაღაც ნოსტალგია შენს თავს გამახსენებს. როგორც დანგრეული ციხე ამ შენობის. გულიც უსასრულოდ ღამეს გაათენებს, დარდი გამიჩნდება ალბათ უშენობის.

გამოგონილ სიყვარულზე ვცხოვრობთ გამოგონილ ოცნებებზე დარდით. ოცნებისთვის გამოუდმებით ვშრომობთ და გავრბივართ ნაბიჯებით მარდით.

ცეცხლოვანი ჯოჯოხეთის შიშით დახატული სამოთხისაც გვეჯერა, უცოდველი ბედისწერით ვიშვით? მომცინარი გვექონდა მუდამ მზერა?

უსარგებლო გროშებისთვის ვდარდობთ, თეთრი ნილბით დაფარული სახით. ეგ ღიმილი ბავთეაგან მართობს, ეგ ღიმილი – დაფარული კრახით.

გამოგონილ ღმერთებისთვის ვიბრძვით საკუთარი ეგოიზმის ფარდით, ღმერთებისგან უცოდველი ვიშვით?! ღმერთებისგან დაფარული დარდით...

ლურჯი მთები

ლურჯი მთების უკან გაჩნდა ჰორიზონტი, ცისფერ ღრუბლებიდან წვიმა გაჩენილი. როგორ შეიძლება ასე შორს რომ იყო, როცა ჩემს გულში ხარ სიზმრად დარჩენილი.

ვრცელი ტალღები კი კვლავ ღრმად გაგიტაცებს, მთების კალთებში ხარ თითქოს მომწყვდეული.

როგორ შეიძლება რომ აღარ გახსოვდე, როცა ჩემს გულში გაქვს ღამე გათუული.

ლურჯი მთების უკან ლურჯი მთები არის. უკვე გაფანტულა ღამის ეს წყვილი. როგორ შეიძლება გვერდით რომ არ მყავდე, როცა შენთან ერთად ვნახე განთიადი.

დღევას აღარ ვითვლი შენთან სიახლოვის, წამი საუკუნეს ფარდობითად მიწვდა. როგორ შეიძლება დაბლა ნავარდობდე, როცა ჰორიზონტი ცაზე გამოგვიჩნდა.

ლურჯი მთების უკან ლურჯი მთები არის. ცისფერ ღრუბლებიდან – წვიმა გაჩენილი. როგორ შეიძლება ასე შორს რომ იყო, როცა ჩემს გულში ხარ სიზმრად დარჩენილი.


რამდენჯერ, ალბათ...

რამდენჯერ, ალბათ, რამდენი რამე შენთვის მინდოდა მეტქვა. ფიქრს არ მაცლიდა, ძალას მაცლიდა, გულის ყოველი ფეთქვა.

რამდენჯერ, ალბათ, რამდენი ხანი ქუჩას გიცდიდი რაზე? მაინც შემთხვევით უნდა მენახე სადაც იდუმალ გზაზე.

რამდენჯერ, ალბათ, სიზმარში გნახე, გნახე სიზმართა ფერში. აღარ მახსოვდა გაღვიძებისას, გზა გამეფანტა მტკვერში.

რამდენჯერ, ალბათ, მიოცნებია სხვა უვარსკვლავო ღამეს. რამდენჯერ, ალბათ, არ მითქვამს შენთვის, როცა გეტყოდი რამეს.



სპერიდიან: „ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებული სოფლები“

ქსნის ხეობის ისტორიულ სოფელ ლარგვისიდან ქარჩოხის მიმართულებით მგზავრობისას, პირველად ქორჭოხის უნდა ვესტუმროთ, მდინარეების – ქსნისა და ცხრაზმულას წყალგამყოფ დასავლეთ კალთაზე მდებარე უძველეს ქართულ სოფელს, რომელიც ახალგორიდან დაახლოებით 25 კილომეტრითაა დაშორებული და მდებარეობს ზღვის დონიდან 1480 მეტრზე.

ტოპონიმი ქორჭოხი, ადგილობრივთა გადმოცემით, ჩამორეცხილ კლდიან ადგილს უნდა უკავშირდებოდეს – ადრე ქორჭოხი რქმევია და მერე ხალხს ქორჭოხი უწოდებია... თავის მხრივ, სულხან-საბას განმარტებით, ქორჭოხი – მდინარისაგან ქვიშა შეყრილი ადგილია.

სოფლის ლირქსანიშნაობებიდან აღსანიშნავია ადრე შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ეკლესია, ორქანობიანი გადახურული, განვითარებული შუა საუკუნეების წმინდა გიორგის სალოცავი სოფლის დასავლეთით, ქედზე; სამხრეთ-აღმოსავლეთით – შუა საუკუნეების ქაშუეთის ეკლესია; გარდამავალი ხანის ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით და 1,5-2 კმ-ზე დასავლეთით მდებარე შუა საუკუნეების ეკლესია „არბო“ (იგივე „არბო“). ასევე სოფლის აღმოსავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების კოშკი...

სოფლის ტოპონიმი დადი ნანოლი დაკავშირებული იყო სალოცავებთან, ყვავილობის სალოცავის ადგილს წმინდა რბოს უწოდებდნენ, ლომით ერქვა ტერიტორიას, სადაც ლომისის წმინდა გიორგის სალოცავი იყო, ელიის ქედი ელიას ნიშის საბრძანისზე მიგვიანებდა, კვირაცხოველი – კვირაცხოვლის ტაძარზე, ქაშუეთი – ქა-

ურების, ბუთხუზის და ბაღსამიშვილის, რომლებსაც არა აქვთ მითითებული გადასახადის ოდენობა, საჯარუდოდ, ისინი ქორჭოხში შედარებით ახალი დასახლებულები უნდა იყვნენ... არ გამოვირცხობ ისიც, რომ „ბაღსამიშვილის მოურავის ხოსრო“ ახალდაბიდან (ამჟღერად ბალანსი) გადმოსახლებულიყო, სადაც იმჟამად ცხოვრობდა ქარჩოხის მოურავი აბრამ თინიკაშვილი (ბაღსამიშვილის ერთ-ერთი წინაპარი). ბუთხუზების ოჯახი კი 1774 წელს ახალდაბაში სახლობდა. ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის გამოსავლის დაეთარი უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი, ყოველშემთხვევაში, არაუადრეს 1774 წლისა... ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობების მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ახალდაბაში თინიკაშვილებთან ერთად ცხოვრობდნენ: ბაღსამიშვილები, ბუთხუზები, მარტიანელები, ფოცხვერავილები. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: ქანაშვილს მითითებული აქვს, რომ მისი ძირი გვარი ნიკლაურია

სოფელ იპოთის წაჩსუღიდან

– „ნიკლაურის ქანაშვილის გამიხარდი“.
ასევე ჩვენ გვაქვს 1774 წლის აღწერის მონაცემები ქორჭოხის შესახებ, რომლის მიხედვით სოფელში უცხოვრია 15 კომლს (27 მამრობითი სქესის წარმომადგენელი), აქედან 6-6 კომლი ქენქაქები და ბაღსამიშვილები არიან, ორი კომლი – ქანაშვილი და ერთი კომლი ნიბტაური, რომლის ძირი გვარი ასევე ნიკლაურია. „ქორჭოხს ქსნის ერისთავის ყმა ამავ მოურავის სახელიო.“
ქ: ქენქაქე გოდერძის შვილი კომლი ა. თავი ა ფოცხვერა აქვე ქენქაქე ფოცხვერას შვილი კომლი ა. თავი ბ ბურუკა და ათანასე
აქვე ქენქაქე საბიას შვილი კომლი ა. თავი ა აბრამა
აქვე ქენქაქე გივის შვილი კომლი ა. თავი დ კაცია სენია პატარკაცი და გიორგი



ქორჭოხი



კვირაცხოველი

შუეთის ეკლესიის ტერიტორიაზე.
ქორჭოხი გახლდათ ქარჩოხის ხეობის უძველესი სოფელი, რომელიც მოხსენიებულია სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნში. სოფლის აღმოსავლეთით, როგორც სამარხილო, ისე საცალფეხო ბილიკებით გზა მიემართებოდა ყველადასიკენ, გაივლიდა ახლოურთკარს და უკავშირდებოდა ცხრაზმის ხეობის სხვა სოფლებს. სამხრეთით მიმავალ გზას ახალგორში მივყავდით, ჩრდილოეთით – ლომისის სალოცავისკენ, დასავლეთით კი მდინარე ქსანი ესაზღვრებოდა, რომლის მარჯვენა მხარეს, ქორჭოხის ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობს სოფელი ქენქანი.
სოფელ ქორჭოხის რამდენიმე მოსახლის შესახებ ცნობები დატულია XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის, იგივე სამთავისის საყდრის გამოსავლის დაეთარში (დასანყისი აკლია), სადაც მითითებულია, თუ რა გადასახადი ჰქონდა დაკისრებული თითოეულ კომლს, მაგალითად:
ქ. ბაღსამიშვილის დათუნას მამულს აქვს (იგულისხმება ბეგარა - და.ა.): პური ჩანახი თორმეტი (ჩანახი უდრიდა 8 კგ.-ს. - და.ა.), ცხვარი ერთი, ჩებინი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ბაღსამიშვილს ელისბარის მამულს აქვს: პური ჩანახი თოთხმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ბაღსამიშვილის ბერის მამულს აქვს: პური ჩანახი თორმეტი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
შემდეგ რამდენიმე კომლს არა აქვს მითითებული გადასახადის ოდენობა ანუ ტექსტისთვის დატოვებული ყოფილა ცარიელი ადგილი:
ქ. ნიკლაურის ბერის მამულს აქვს ნიკლაურის ქანაშვილის გამიხარდის მამულს აქვს ბაღსამიშვილის მოურავის ხოსროს მამულს აქვს. ბუთხუზი ქიტოს მამულს აქვს.
რაოდენობა ისევ კონკრეტდება აღწერის ბოლოს მითითებულ ორ კომლთან:
ქ. ბაღსამიშვილს შიოს მამულს აქვს: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.
ქ. ბაღსამიშვილს კაციას მამულს აქვს: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.”

აქვე ქენქაქე ამირანის შვილი კომლი ა. თავი ბ ამირან და სიხარული
აქვე ქენქაქე საბიას (საბიას - და.) შვილი კომლი ა თავი გ ბასილა საბია და ივანე
აქვე ნიბტაური ფოციტას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და მამაგული
აქვე ბაღსამიანთ ციხელას შვილი კომლი ა თავი ა ციხელა
აქვე ბაღსამიანთ ბალას შვილი კომლი ა თავი ბ ოთარა და შოთა
აქვე ბაღსამიანთ შერმანის შვილი კომლი. ა თავი გ დათუნა ბერი და ნიკოლა
აქვე ბაღსამიანთ ბერის შვილი კომლი ა თავი ა ელისბარ
აქვე ბაღსამიანთ ლ-თისავარას შვილი კომლი ა თავი ა ოსიყმე
აქვე ბაღსამიანთ ციხელას შვილი კომლი ა თავი ბ სენია და დათუნა
აქვე ქანანთ ივანეს შვილი კომლი ა თავი ა გამიხარდი
აქვე ქანანთ მახარას შვილი კომლი ა თავი ა გიორგი
იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი. იე თავი კპ.”

აქვე ციხელას შვილი კომლი ა თავი გ ადამა ბერი და პეტრე
აქვე ციხელას შვილი კომლი ა თავი ბ დათუნა და ქიტია
აქვე ქანას შვილი კომლი ა თავი ა მახარებელი
აქვე ქანას შვილი კომლი ა თავი ა გიორგი
აქვე საბიას შვილი კომლი ა თავი ა კაცია
აქვე საბიას შვილი კომლი ა თავი ა სენია
იქნა ჯამი მემკვიდრისა. კომლი ით. თავი ლ-გ.”

ქსნის საერისთავოს 1783 წლით დათარიღებულ მესამე სტატისტიკურ აღწერაში ქარჩოხის ხეობის სოფლები მითითებულია, როგორც ბ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ი ს ა ბ რ ა მ ი ს სახელო, ანუ დაკონკრეტებულია მოურავის მამის სახელი – ბალა. განსხვავება 1783 წლის პირველ და მეორე აღწერებს შორის არაა, თუ არ ჩავთვლით ბურუკა ბაღსამიშვილის შეცდომით ბაღსურის შვილად მოხსენიებას, რაც კორექტურული უზუსტობა უფროა. ასევე, სქოლიაში, გამომცემელთა მიერ მიწიწმენა, რომ ხეობის აღწერის დასაწყისი სტრიქონის „ქარჩოხს ბალას შვილის აბრამის სახელი“ დედანში შეცდომად და ქარჩოხის მაგივრად უნდა „იყოს ქორჭოხს“. ამ შენიშვნას ვერ დავეთანხმებით. დედანში მართებულია და მითითებული არაა კონკრეტულად ერთი სოფლის, არამედ ხეობის საერთო სახელწოდება, როგორც, მაგალითად, ქურთისხევის, ცხრაზმისხევის, ისროლისხევის... შემთხვევაში.

ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერის მიხედვით: „ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7. მოსახლენი.“ იქვე ცალკეა საუბარი ოსურ სოფლებზე – ლომისზე და ოხირზე. წყაროში ნახსენები 7 ქართული სოფლიდან ერთ-ერთი ქორჭოხი უნდა ყოფილიყო...

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის იენისის საუფლისწულო აღწერის მონაცემებით ქორჭოხში 7 კომლია, 40 მამაკაცი და 29 ქალი. ერთ კომლში, საშუალოდ თუ გამოვთვლით, 10 სულია, საჯარაუდოდ, კომლები გაერთიანებულია. ამავე აღწერაში ცალკეა სოფელი „ბალკანთ-კარი“, ეს უნდა იყოს ბაღსამიანთ-კარი ანუ ბაღსამიშვილებით დასახლებული უბანი, სადაც აღწერილია 7 კომლი, 23 მამაკაცი და 14 ქალი. თუმცა, რთული სათქმელია, მაშინდელ ახალდაბაში (დღევანდელი ბალანსი) უნდა ყოფილიყო ეს უბანი თუ ქორჭოხში. ჩემი აზრით, უფრო ქორჭოხში, რადგან ბაღსამიშვილების დიდი ნაწილი იქ სახლობდა... ერთი ფაქტია, რომ მომდევნო 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მონაცემები ბევრად განსხვავდება 1803 წლის აღწერისაგან. რუსული აღწერის მიხედვით კომლების რაოდენობა 30-ია, შესაბამისად სულთა რაოდენობაც აღემატება საუფლისწულო აღწერის მონაცემებს:

აღწერის მიხედვით სოფელ ქორჭოხში მცხოვრები ქართველები:
1) ოსიპ პოჩხორა შვილი (იქვე ფოცხვერაშვილი - და.), 5 მამაკაცი და 3 ქალი, მის საკუთრებაშია 10 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სათიბი ანუ სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადახდილი აქვს 1/2 ანუ ნახევარი კოდი (დაახლოებით 5 ლიტრა) ხორბალი, 1 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი
2) გრიგოლ პოჩხორა შვილი (ფოცხვერაშვილი - და.), 6 მამაკაცი, 1 ქალი. ასევე გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.



იკოთი. წმინდა მარინეს ეკლესია

3) შალია საბია შვილი, 6 მამაკაცი, 1 ქალი. 7 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადახდილი აქვს სულ 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.
4) გოგია საბია შვილი, 6 მამაკაცი, 2 ქალი. 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 4 ფუთი (1 ფუთი უდრის – 16, 38 კგ.) ხორბალი, 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 41 1/2 კაპიკი.
5) ქიტესა საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 1 ქალი. 8 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს ლიტრა ნახევარი ხორბალი, 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 74 1/2 კაპიკი.
6) გლახა საბიაშვილი, 4 მამაკაცი, 3 ქალი. 6 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს სულ 74 1/2 კაპიკი.
7) გლახა საბია შვილი, 1 მამაკაცი, 4 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს 4 ფუთი ხორბალი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ 16 1/2 კაპიკი.
8) შალუა (შალვა და.) საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი. 2 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ქათამი და 5 კვერცხი, სულ 12 1/2 კაპიკი.
9) გოგი საბიაშვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი. 1 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს სულ 12 1/2 კაპიკი.
10) ნინია პოციტაშვილი (ფოცხვერაშვილი -



სოსო გიქოშვილი

საინტერესო ადამიანები ისე იღვწიან, რომ მათი განვილილი ცხოვრების გზა მომავალ თაობებს გამოადგეთ. ალბათ, ამიტომაც არიან ისინი განსაკუთრებულნი, თუმცა ვიდრე ცოცხლები არიან, ამაზე როდის ფიქრობენ. ასეთებდა გავჩნდნენ, ასე განვლეს წუთისოფელი, რადგან ცხოვრება სხვაგვარად არ შეეძლოთ. ერისათვის თავდადებული ადამიანები ყრობიდანვე იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში და გვეგონია, თითქოს, მუდამ ჩვენ გვერდით იდგნენ, მათ გარეშე ჩვენი არსებობა ვერც კი წარმოგვიდგენია, თითქოს ცხოვრება აზრს დაკარგავდა. განსაკუთრებული ადამიანები ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ მაშინ მკვიდრდებიან, როცა წესიერად არც გვაქვს გააზრებული ცხოვრებისეული ავი და კარგი, როცა ჯერ კიდევ გვიჭირს სიკეთისა და ბოროტების გამიჯნვა. დიდი ილია წერდა: „დიდბუნოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელ მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავია“. ეს სიტყვები საოცრად მიესადაგება ყველა ქართველისათვის საყვარელ მუხრან მაჭავარიანს, ვისი ცხოვრებაც მაღალმოქალაქეობრივი პათოსით იყო განმსჭვალული, ვინც მუდამ იდგა სათაყვანებელი ერის ზნეობრივ სადარჯოზე. მოყოლებული იმ დღიდან, როდესაც მუხრან მაჭავარიანი ქართულ პოეზიაში ფეხი შემოგვავა, ქართული ლექსი კიდევ ერთხელ აღივსო სიახლეებით, თვითმყოფადობის უჩვეულო განცდით. პოეტი იმთავითვე გამოხდა ერში ფეხგადგმულ ნეგატიურ მოვლენებს: ცუდად შემგუებლობას (როგორ ჰგავს „ბედნიერ

მელის შესატყვისი ხმა!“ მუხრან მაჭავარიანის პოეტური ხმა იმთავითვე გამოიკვეთა სიახლითა და თვითმყოფადობით, ინდივიდუალური სტილით. ამიტომ იყო, რომ ქართველმა მკითხველმა, უფრო მეტად კი ახალგაზრდობამ, სულ მალე გაუხსნა გული მის ომახიან სიტყვას. საზოგადოებამ დაინახა, რომ მაჭავარიანი სეული რეალობის აღქმა თანამედროვე ეპოქის ეროვნული, ხალხისმიერი აღქმა იყო. ზოგადად, მშვენიერება პოეზიის მხოლოდ მიზანი კი არა, არამედ მისი არსებობის ფორმაა. მუხრან მაჭავარიანი ლექსებს იმიტომ არ წერს, რომ ოდნავ მაინც გაზარდოს მშვენიერების სფერო. მშვენიერების არსი-



ოჯახთან ერთად

და გულსჩამწვდომ სტრიქონებში ადვილად ამოიკითხოს ავტორის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, გაუქარებელი ნადველი, ერთგულება და, ამასთანავე, მოკრძალებული საყვედური ქვეყნისადმი. თუმცა აღსანიშნავია სიამაყე მეფე ერეკლე II-ის მიმართაც. მას, ვისაც შეუძლია პოეზიის არსი წვდომა, აუცილებლად შენიშნავს, რომ ლექსების – „საბასა“ და „ღვინი ალაზნის ჭალაში“, ძირითადი ინტონაცია არაა ადგილობრივი ნინამორბედი თანამოქალაქეებისა. ორივე შემთხვევაში, პოეტი ზუსტად ამხვილებს ყურადღებას კონკრეტულსა და ხელშესახებ მოვლენაზე. ამდენად, აქ ყოველივე ინდივიდუალურია. ლირიკოსი, ადამიანის

რამდენიმე შერისი მუხრან მაჭავარიანის

ერს“), შურსა და ბოროტებას, ღვარძლსა და ეგოიზმს, გულცივიობასა და სიმბდალეს (როგორ ჰგავს დღევანდლობას). მ. მაჭავარიანი ქმნიდა ლექსებს და გრძნობდა, რომ სულის სიღრმეები შეიმეცნებდა ეროვნული პოეზიის შესაძლებლობებს. 1949 წელს პოეტმა დაწერა ლექსი „საბა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვით ეს ყმანვილი – საქართველოც
ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმანვილს,
ასე ჰყვიან...“

თუ გავითვალისწინებთ ლექსის შემქმნის დროს, დიდი ძალისხმევა არ გვჭირდება გავიზაროთ, როგორ დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას იჩენდა ავტორი, როგორ უწევდა ბუნების ხიდე სიარული. ლექსის პირველ ნახევარში მუხრან მაჭავარიანი ამაღლევებელ ფაქტს გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან:

„დედის ცრემლები ყაყაროს და
ბალახებს აწვიოს,
ალვის ჩეროში სტირის დედა
შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში შვილი დედას
სტირის, –

ჰყვიან ყმანვილს,
სჭვრეტენ ჯვარის წინ
წმინდა ნინოს, მუხლზე
დაცემულს“...

აქ პოეტი მხოლოდ მთქმელია, მხოლოდ მხატვრულადაა ამსახველი რაც მოხდა, რაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში განვითარდა და დამთავრდა მისი ნებისა თუ სურვილისაგან დამოუკიდებლად. მოცემული ლექსის ბოლო ოთხი ტაქტი ძირითადად, ისევე ლექსის პირველი ნაწილის მოდელს იმეორებს. პოეტური აზრი აქაც გარკვეულ სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება. ისევ ვითარდება განსაზღვრული მოქმედება, თუმცა ავტორის სიტყვას თუ კომენტარს, ჯერ გაყიდული ქართველი ბავშვის და საბას დიალოგი, მერე კი მუხრან მაჭავარიანის სულხან-საბასადმი მიმართული კითხვა და რწმენა – პასუხი ერთვის:

– მოგვყინდა ვანა უნაყოფოდ,
ელჩო, ყიალი?
– ვულს ნუ გაიტყვ,
– მუხა კვლავაც შეიმობება!“

ხომ არ არის ეს ისტორიული ფაქტის პოეტისეული ინტერპრეტაცია ან ერთგვარი მონოდება? ვფიქრობთ, ორივე ერთ მთლიანობადაა შენივთული და გვეცხის პოეტის ოპტიმიზმის მომგვრელი საამო ხმა. აი, რას წერდა იგი 1983 წელს გამოქვეყნებული პოეტური კრებულის „ლექსების“ წინასიტყვაობაში: „ჩემი ღრმა რწმენით, ძნელია, ძალზე ძნელია მკითხველის გული იპოვოს ლექსმა. ამისათვის საკმარისი არაა არც საჭირობოროტო თემატიკა, არც ლექსის მხატვრული სახეები და ხუნძელა. ხმაა მთავარი! სათქ-

დან ამოჰყავს მას მთავარი აზრი, პოეზიის ნიალიდან ქმნის საკუთარ განწყობას, მიზნებს, თუ რა განიცადა და რა გადაიტანა, რა გამოიარა სიცოცხლეში, როცა მკითხველი ეცნობა მის პოეზიას, გრძნობს, რომ ლექსის წერა ესთეტიკური მომენტია, იგი იჭრება ადამიანის გულსა და გონებაში, ძალას მატებს ადამიანურ ყოფიერებას და გვიჩვენებს იმ ერთადერთი ჭეშმარიტების გზას, რომელზეც პოეტმა მიგვანიშნა ლექსში „ღვინი ალაზნის ჭალაში“:

„დედს საქართველო ილტვის ზეცისკენ,
მცირედი შეგვრჩა რადგანაც მინა,
შეხედე ჭადარს, არის ეს ის ხე,
რომლის ჩეროშიც ერეკლე იჯდა.
შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,
თავგანწირული არის ირგვლივ სმა,
მონყენილია თელავის ციხე –
ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა“.

როცა ამ სტრიქონებს კითხულობს კაცი, თვალწინ ის ადგილები წარმოუდგება, მუხრან მაჭავარიანის ლექსს რომ ანერინებს. პოეტთან ერთად თითქოს ჩვენც ვხედავთ ალაზანსა თუ თელავს, ასპინძასა და იმ კრწანისს, ყველა ქართველი მუხრან მაჭავარიანივით რომ განიცდის. თუმცა პოეტისეული განცდა სულ სხვაგვარია, ვინაიდან რაც უფრო მაღალია ინტელექტი, მით უფრო დიდია ტკივილისა და სიამოვნების სიგრძესიგანე. პოეტი კი ხშირად იმაზე მეტს და იმაზე უკეთესად ამბობს, ვიდრე ჩვენ ვიტყვით და ვიცით. მ. მაჭავარიანის აზრით, ცალკეული აზრისა და განწყობის გამოსახატვად სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა და, რომ შემოქმედებითი პროცესი სწორედ ამ ერთადერთი ფორმის ძიებას წარმოადგენს, მის პოვნამდე კი კაცმა არ იცის რანაირია ეს ფორმა. პოეტური სათქმელის, ფორმისა და შინაარსის მთლიანობის საუკეთესო ნიმუშია ზემოაღნიშნული ლექსი:

„ვახურად ღვინი, შეენნა ხმა ხმას,
ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც –
და როცა ეშშიც შევიდნენ უკვე,
მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ –
იალაზანა, იალაზანა,
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა
და გადმოლახა ნაპირი ნყალმა.
ქვითინებს მუხა – ალაზნის გაღმა,
ილიას თვალწინ რომელიც გახმა...
კახური თ გულის ხშირდება ძველა,
პირზე ღმირილი ახმება გელათს,
თვალეში ცრემლით ეცხება ხახმატს,
ვერ იდავითა პატარა კახმა!“

მუხრან მაჭავარიანი ალაზნის ჭალაში, ღვინის ხატვისას, არ ცდილობს ზედმინუნით ასახოს სიტუაცია, იგი რეალობას განზრახ ნიღბავს ხელოვნების კრიტიკიუმებით, რათა პოეტურ სიტყვაში განასახიეროს აზრის სისადავე. დიდი ძალისხმევა არაა საჭირო, რომ მკითხველმა ლექსის სევდიანსა



თინა მაჭავარიანი, მუხრანის და, თამარ იაკობაშვილი(დედა)

სულის საკუთარ თავთან შეჭიდების მარადიულ, ყოველი დროისათვის დამახასიათებელ და ყველასათვის გასაგებ იდეას გადმოგვცემს. „საბა“ და „ღვინი ალაზნის ჭალაში“ ამის ნათელი დასტურია. ორივე ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას უახლოვდება, მათთვის უცხოა ხელოვნურობა და სიყალბე, თუმცა არ გამოირჩევიან განსაკუთრებული ეფგონიით, არც მეტაფორების სიუხვით, მაგრამ ვხვდებით რამდენიმე ავტორისეულ სიახლე-გამოხატვას – „იდავითა“, „იალაზანა“ და ა.შ.

ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშს, ეს ლექსი იქნება თუ სხვა რამ, შეიძლება ბევრი კარგი თვისება ჰქონდეს, თუნდაც იდეის სიღრმე, თანამედროვეობის შესაბამისი თემა, გიზუალი, ორიგინალობა, მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმასთან, რაც ლექსის ან ხელოვნების სხვა ნიმუშის ხელახალი ნაკითხვა ან ნახვა, ე.ი. სურვილი მასთან ხელახალი ზიარებისა. მუხრან მაჭავარიანის ნებისმიერი ლექსი მისი ხელმეორედ ნაკითხვისკენ გვიბიძგებს, მაგიური ძალით იზიდავს მკითხველს იმიტომ, რომ პოეტური სიტყვა სულეირი ძალის ყველაზე უფრო სიხშირე გამოხატულებაა. ხალხს იმეფათად ევლინება ხალისი, ნაღდი პოეტური ნიჭი, მაგრამ ქართველები ამ მხრივ, მართლაც რომ გამორჩეულები ვართ. ჩვენი მამოლიური პოეზია ყოველთვის იყო ეროვნული თვითშეგნების მხატვრულად გამოსახვის საშუალება, შემოქმედებითი ენერჯის დაუმრეტელი წყარო. ყოველივე ამაზე მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება მიუთითებს, რომელიც, სამწუხაროდ, გასული საუკუნის 60-70-იან წლების კრიტიკამ სათანადოდ რომ ვერ (უფრო ზუსტად, არ) შეაფასა. ახლა სხვა დრო დად-

მშვენიერების განცდასა და გამოხატვას ამჯობინებს ჩადგეს მოქალაქეობრივი, ზნეობრივი სამიზნოს სამსახურში. პოეტი ამავე დროს ამფლავნებს მოქალაქეობრივ გამბედაობას, რათა მკითხველს გაანდოს გულისნადები, თქვას ის, რის თქმაც სხვებს არ ძალუძთ:

„ისევ და ისევ ღმირით ისმენს,
ქრისტე იუდას ქვითინს...
და კობტაგორა გვერდულად მიმზერს,
საუკუნეა მშვიდი.
დუმან ველეობ, დუმან ციხენი,
დუმს სვეტიცხოვლის ზარი.
ყაყაროსავით მზუა წითელი
და მეციხება მწარედ.“

რატომ ეცინება პოეტს მწარედ? იმიტომ, რომ საზოგადოება ნეგატიურ მოვლენებზე დუმს. ეს დუმილი მუხრან მაჭავარიანისათვის შემგუებლობის, სიმბდალისა და ლალატის ტოლფასია. იგი მის პოეზიაში მოქალაქეობრივი ინერტიულობის, მთვლენიერ ეროვნული თვითშეგნების, ლალატის სიმბოლოდ თანდათანობით იქცა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მისთვის დუმილის ცალმხრივი აღქმა და გააზრება სავერტის მიუღებელია. მოქალაქეობრივი მრწამსის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, დუმილი იგივე ლალატია.

პოეტს შინაგანი სულიერი ხმა კარნახობს თავისი ლექსებით უთხარს მშობელ ხალხს ის, რის თქმაც, ძირითადად, პუბლიცისტს ან, თუნდაც, კრიტიკოსს რომ ევალება. გავისხენოთ ლექსი „ვაი, ჩვენს პატრონს“:

„დავდივარ, როგორც დადიოდა
ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაპი,
ხან კიდევ სკვრი.“

ვხედავ: რეგენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ, და მე შენ გეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე? ქალი თუ კაცი ეჯობება იმაში ურთერთს: ფიქრის და სიტყვის დაშორებას ვინ შეძლებს უკეთ. გზად გზა მხედება კმაყოფილი სიფათი რეგენის, ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლელვნი, დროდადრო მესმის უზერხული ხალხური ლექსი: – ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი. ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენს ყოფის თავი და ბოლო, ჭამა და საჭმლის მოწოდება თუ არის მხოლოდ!..“



ფრიდონ ხალვაშთან ერთად

ეს ლექსი აღმოფთვებული სულის სიღრმიდან ამონახეტიეა. არა მგონია ჩვენ შორის მოიძებნებოდეს ვინმე, ვინც ვერ გამოიცნობს საკუთარი ნუხილისა და მღვლეარების საიდუმლოს! „ვაი, ჩვენს პატრონს“, აქვე ვიტყვით რომ, სატირის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული. ლექსი ეროვნული სატიკივარისა და სოციალური უსამართლობის, სულში ჩამწვდომი გამოხატულებაა. მართალია, არაა ესთეტიკურად მოხდენილი, მაგრამ შემადრწუნებელი სინამდვილის სამხელად რომ შემოკრული საგანგაშო ზარია, ეს უდავოა.

მუხრან მაჭავარიანს ალაშფოთებდა ყველაფერი დრომოჭმული, მუხთალი და უკულმართი, რაც არ შეესაბამებოდა მის

ქოქესური ქორცრეცისათვის

წარმოდგენას პატრიოტიზმზე, ზნეობრიობასა და კეთილშობილებზე. პოეტი წერდა: „სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებო უცხოს ნურავის! თვითდაკვირვების, მოვიმარჯვოთ, დროა, უნარი! მიზეზი ყოვლის, რა სიგლახეც ჩვენში მძვინვარებს! თავენ როგორ ფიქრობო? რაა? ვინ არი?“ („მიზეზი ყოვლის“). მუხრან მაჭავარიანს ალიზიანებდა ის ყველაფერი, რაც ადამიანს სულიერად ამდაბლებდა, რაც ადამიანს ადამიანურის სახეს აკარგავინებდა. ალიზიანებდა ის ქართველი და ქართული სუფრა, რომელმაც ზომიერების განცდა დაკარგა: „ტანახოვანმა, დღეს მინაში მსოლმა გულაღმა, თქვა ოპიზარმა, ხოტივარმა, თუ ხახ ულარმა: დაჯდება ქოხში, სასახლეში,

თუ ხის გრილოში: ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ – შენი!“ („თქვა ოპიზარმა“). პოეტი ყველაგან და ყოველთვის ქართული ენის უდიდესი ქომაგი და დამცველი იყო. ხმალომოდებული იცავდა მშობლიური ენის სინამდვილეს, ამხელდა დაუნდობლად მათ, ვინც ნესიერად ვერ ფლობდა მშობლიურ ენას, ჩვენს ისტორიულ წარსულს. ამის ნათესაყოფად შეგვიძლია გავიხსენოთ ლექსები „მარტო იმიტომ“, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“ მაგალითად, ამ უკანასკნელში მუხრან მაჭავარიანი წერდა: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს. ვინც არც იცის და არც უნდა,

იცოდეს ჩვენი წარსული, ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად, არც სხვისი ესმის ქართული.“ სამშობლოს, ადამიანის, ქართველი ქალის პოეტური ხედვა, მათი ლირიკული განცდა და მხატვრულად გარდასახვა, მუხრან მაჭავარიანის შინაგანი, უპირველესი მოთხოვნილებაა. მისი პოეზიის ძირითადი კრეატივა: „შუალამეა, ჭადრებთან გელი, თორმეტს აკლია წუთი ორილა, მე ჯერ სახელიც არ ვიცი შენი, არ ვიცი, ვინ ხარ, ან როგორი ხარ. შუალამეა, ჭადრებთან გელი, ნუ გეშინია – გაბედე, მოდი. შენ, რა თქმა უნდა, გიცნობენ ხენი, ნეტავ, ერთ-ერთის ვიყო მეც ტოტი, ვინ ხარ გეტყვოდი!“

სალიტერატურო კრიტიკაში მიჩნეულია, რომ პოეტური ხედვება, მონათესავე დარგებისაგან განსხვავებით, ადამიანებს შედარებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს. მაშინ, როცა, მაგალითად, ფერწერა ან კინოხელოვნება მხედველობით აღიქმება, პოეზია კი შესაძლებლობას გვაძლევს დავეყრდნოთ წარმოსახვის საკუთარ ძალას, მივწვდეთ თავისუფალსა და შორეულ ასოციაციებს. მუხრან მაჭავარიანის ლირიკაც კლასიკური ნიმუშაა აქ ნათქვამის, ის ქართველი კაცის სულის დღესასწაულია, ღრმაზროვანი სიცოცხლის ზეიმი და აღიარებაა:

„ხარ ბედნიერი, ხარ უკვდავი, ხარ გაზაფხული, გაგამარადა, გაგადიდა პოეტის გულმა, ძვერს გული ჩემი, კარგი გული! დაუგდე ყური! იყავი ჩუმიად...“ როცა მუხრან მაჭავარიანის ლექსებს ვკითხულობთ, ერთ გამოუთქმელი ბედნიერება გვეუფლება და ვგრძნობთ, რომ საქმე გვაქვს კეთილშობილსა და დახვეწილ ლიტერატურულ სამყაროსთან, პოეტის მიერ საკუთარ თავზე შინაგან გამარჯვებასთან, შემოქმედებითი ძიების პროცესებთან. კვლავ მივმართოთ პოეტს: „ლექსს როცა დაწერ და სახლიდან გამოვალ გარეთ და იმ დროს თბილი საღამოა და ოდნავ ბნელა... საღამო ცაო! გამარჯობა, ნათელი მთვარევ! ყველაში მე ვარ და ჩემშია იმ დროს სუყველა...“

დრო ყოველთვის იყო ობიექტური მსაჯული. იგი ჩვენს შემთხვევაში გვიჩვენებს, რას აქვს მთავარი ღირებულება მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში. არავის შეუძლია იმ არჩევანის განჭვრეტა, რომელსაც დრო აკეთებს. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, არის სუბიექტური აზრის გამოთქმა, და ჭეშმარიტება იმისა, რაც გვიყვარს და რაც გვახარებს ან პირიქით, რაც არ მოგვწონს და რაც მოლოდინს გვიმტყუნებს ხოლმე. მუხრან მაჭავარიანი მონადებით ლირიკოსია. სიყვარული, სიღამაზე და სიკეთეა მისი პოეზიის მაცოცხლებელი ძალა. დაუცხრომელი ლტოლვა სიკეთისა და სიყვარულისკენ მუხრან მაჭავარიანის ღვთისგან ბოძებული შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელშიც იკვეთება პოეზიის უმთავრესი არსი და დანიშნულება.

ძალიან ბევრის თქმა შეიძლება მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე, ბევრი მაგალითის მოხმობა, ბევრი კარგი აზრისა თუ მხატვრული სახის განხილვა, მაგრამ, დამეთანხმებით, ესოდენ რთული საქმის საფუძვლიანი, გულისხმიერი გაკეთება ერთ საგაზეთო წერილში ვერ მოხერხდება და პრაქტიკულად შეუძლებელიცაა. მუხრან მაჭავარიანის პოეზიის სათანადო სიღრმით შესწავლა კვლავ აქტუალური საკითხია თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკისთვის. მიგვაჩნია, რომ დღევანდელი პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები ამ საქმეს უთუოდ შეძლებენ სულ ახლო მომავალში.

ხალხური ეოტიკა — თანავედროვე მისაქვანე

თბილისში, შვილის ოჯახში, ჩემად მიჩნეულ, ამ ერთ პანანინა ოთახში, კორონა-ვირუსის თვითიზოლაციის წეს-კანონს დამორჩილებული, განმარტოებით ვარ და ექიმის მითითებებს მკაცრად ვიცავ. სხვა მხრივ, ხალხში დარჩენილებმა, ამ სიმარტოვის ფაშს, უნდა გაეუძლოთ, ეს დრო უნდა ავითვისოთ, მაგრამ, როგორ? რა ვქნათ? რა ვაკეთოთ? ჩემს ასაკში სხვა რა უნდა ვქნა? შინაურები ხელს არ მანძრევენებენ და უფრო რიგიანად მოვიმარჯვე წიგნი, პასტა და ფურცელი. მეტი აღარაფერი დამრჩენია რა და, ჩემად მოჩენილი ოთახის, შვილიშვილის წიგნების გრძელ თაროებზე, ზოგს თუ მე ვუმზერ, ზოგნიც თვითონ თვალს მიკრავენ, მძალაობან. მეც ვგრეოვად არ ვარჩევ, რომლის უპირატესობით დავინყო, რომელს ჩავეხედო. მცალა და სულ ერთია, მიყვები შვილიშვილის – ქეთოს გემოვნებით ჩალაგებულ-ჩამწკრივებულ რიგითობას. კლასიკური – ძველი და ახალი გამოცემები, ნაკითხული და ნაუკითხავი, მსოფლიო ბესტსელერად აღიარებული სხვადასხვა გამოცემები და... განურჩევლად მივდევი თანმიმდევრობით. ... ჰა, ჰა და, უცებ, თაროზე, რეზო ინანიშვილის მოთხრობების კრებული არ მიკავია ხელთ?.. რეზო ინანიშვილი... ათჯერ ნაკითხულს ასჯერაც რომ ფურცლავ, ყველაფერი გავიწყდება, ყველანაირი კორონა თუ პანდემია უკანა პლანზე იწევს. ეს სასწაული ავტორის სულის სიღრმიდან მოედინება და შენც სიმშვიდე გაპატრონობს. აი, პირველივე ფურცლები – „ბეზია – ჩემი მზე“. კითხულობ მას და მზისდარად წარსულიდან შემოგყურებს შენი ბებიაც. და აი, „მივადენი“, „აღმოვანინე“ ახლებურად ჩემი ბეზია, როგორდაც მწერალი ამბობს: „ზრდილი, ტკბილი, თბილი, იმდენი ბეზია. ბეზია, რომელიც კარგ ლექსებსაც მასწავლიდაო“ და იქვე

მოჰყავს მზისდარი „ბეზიას“ ნასწავლი კარგი ლექსები – „ვარდმა გასძახა ბულბულსა“, „მზეო, ამოდი, ამოდი“, „ნეტამც არ ჩავძინებოდა“... და ეს ხალხური მოტივები, მწამს, საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა დროის, ყველა მზის დარმა ბეზიამ თავის შვილიშვილს ასწავლა, მაგრამ ჩვენი რეზო ინანიშვილი, თავისმა ბეზიამ ბავშვობაში ამით ისე დააპურა, რომ დღეს ის რეზო ინანიშვილი, ჩვენი საყვარელი ეს რეზო ინანიშვილია, რომელიც მზისდარი ბეზიის ნასწავლ კარგ ლექსებს, აქვე თავის კრებულითაც ახლებური გრძობით გვამცნობს. ვკითხულობ ოდესღაც ზეპირად ნასწავლს და ახლა სულ სხვანაირად მესმის რეზო ინანიშვილის, ამ სტრიქონებით მოძალეული მისი მგრძობიარე გულის სიტბო. ახლა, ამავე წუთში, ამ „მოცალეობის“ ფაშს, ამ სტრიქონების მიყოლებით წამომლინიდა მისი გაგრძელების საპასუხოები და გაგებდე, ესენი ასეთად თქვენც რომ წაილინოთ:

ვარდმა გასძახა ბულბულსა
(ხალხური)
ვარდმა გასძახა ბულბულსა – ეგ ბალი დამიკალეო, ვეას სხვა ბალი არ არის, რა ჩემთვის მოიცალეო?..

ჩემეული მისამღერი:

ბულბულმა უთხრა, რას მერჩი, შენთან დავიდე ბინაო, ღმერთმა სხვა ბალი სხვას მისცა, მე შენთვის გამაჩინაო!..

მზეო, ამოდი, ამოდი...
(ხალხური)

მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა, სიცვივეს კაცი მოუკლავს, აგერ სანყალი გორავასა...

ჩემეული მისამღერი:

რას ელოდებით ჩემს მოსვლას, ეს გორა მისწინ-მოსწინეთ, სანყალი კაცს გვერდში წასჯგვლიმეთ და შრომის ოფლი მოსწმინდეთ.

ნეტამც არ ჩავძინებოდა
(ხალხური)
ნეტამც არ ჩავძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა, წამოგიქროლებს ალალი, ნავილებს მალალ მთაზედა.

ჩემეული მისამღერი:

ტყულიად ნალვობთ ჩემზედა, მძინავს, მოვდივარ ჯანზედა, ვერა ალალი ვერ დამძრავს, დავამზობ იმ მთას თავზედა.

ჩემს ბავშვობაში, ჩემმა „მზე - ბეზიამაც“

მასწავლა ესენი და კიდევ მიაბო მრავალი რამ წარსულიდან, ამ ხალხურის გვერდით შემყვან-რა ის ხალხური წამოძახილები, საუკუნეების მანძილზე გატანჯული ჯვარხელი კაცის დრო-ყამგარდასული, გაუცვეთელი, ნანატრი დღეების ნოსტალგიად რომ ხმაურობს დღესაც:

მე ჯავახეთს რა მიძავდა
(ხალხური)

მე ჯავახეთს რა მიძავდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა!..

ჩემეული მისამღერი:

იმ ჯავახეთს ვეღარ იცნობთ, მთვარე ტირის უთქვენობას, მტკერის კალმახი თუ ციმორა, დიკის პური, ქერის ნამჯვა, ქარხვეტია კოლექტივა გაასხვისა გლეხის გარჯა!

ნათელა ცისკარამი,
საქართველოს დამსახურებული ფურნალისტი

P.S. მასპიტოს ხალხის გენმა ჩემი კადნიერება ჩემებურად წაილინებული ამ ძალდატანებული „მოცალეობის“ გადასახედიდან. მეც ხომ ჩემი ხალხის ნაპერკალი ვარ, ახლა მაინც, ამ უჩვეულო ყოფით მის ხალხს და გარემოს დანატრებული.

(გავრცელება. დასაწყ. N8)

დიდი თავადის აბასთუმისიელი ოლიმპური დიდებულების სამყოფელიდან და სამეფო გვირგვინის კიბიდან ლამის პირდაპირ რუსული სატყუალის უფსკრულში აღმოჩნდით ახალციხეში. ღმერთებს ნამდვილად გლოვა მართებთ იმაზე, თუ რაგვარად ათარგმანებენ მისი მიწიერი მსახურები მათ კანონებს.



ივან კუიუმჯიბაშვილი

ისე იხატა, რომ არანაირი ავი წინათგრძნობა არ გვექონია — დილის გრილი და საამოსიო, ჩვენს წინ მორაკაკე მდინარე და მოპირდაპირე ნაპირას უძველესი ციხე-სიმაგრე არშისავეთი შემოვლებოდა ციცაბო ხრიოკ კლდეებს და სილუეტად გამოკვეთილიყო მათელ ცაზე. კარავში კარგა გამოძინების შემდეგ, დილაადრიან, მდინარეში ვიბანავეთ; ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ მდინარეს მალლა ავუყვით თუ არა, პატარა სოფელი შევნიშნეთ, რომლის მაცხოვრებელი ქალები ქვემოთ ეშვებოდნენ უკვე, სხვადასხვა ფორმის თუნგებით, თან მსუბუქ ჩითის ტა-

საც ახალი დავალება მისცეს; და როდესაც მუშაობის პროცესში მათ ხედავ იხტ ხალხს შორის, როგორც სომხები არიან, შენს თავს ეკითხები, როგორ მოხდა, რომ მთელი ამგვარი ნიჭის ადამიანებს მსგავსი ხეპრე პირები მართავენ. რა თქმა უნდა, არსებობს საგულვისხმო გამონაკლისები ამ ზოგადი მტკიცებიდან, რომელიც მხოლოდ ქვემდგომ მიხედვით კერძო გამოცდილებითაა ნაკარნახევი და არა უმაღლეს საფეხურზე მყოფებთან.

ტარანოვსკი თავისი კლასის ყველაზე უარესი ნიმუში იყო, რომელსაც კი, ჩემდა საუბედუროდ, შეხვებდრივარ. ტანდაბალი, ჩაფსკვნილი აღნაგობით, მსუქანი ლაქლაყა სახითა და პატარა თვლებით იგი ფლობდა მთელ იმ თავდაჯერებულობას, რომლითაც ხშირად ხასიათდებიან ტანმორჩილები და მთელ იმ არაკეთილგანწყობას, რომელიც ფიზიკური ნაკლოვანების თითქმის აუცილებელ გამოვლინებად წარმოადგენს. მაშინათვე გავაცნობიერე უსიამო გარემოების ყველა დეტალი; და ჩემი ცული წინათგრძნობა უსაფუძ-

მიმავალი გზის გასწვრივ, მდინარის მარჯვენა ნაპირს ქვემოთ, გავეყვით; შემდეგ მკვეთრად სანააღმდეგო მიმართულებით, ხელმარჯვნივ, გვერდითი ბილიკი გამოჩნდა, რომელიც სულ უფრო და უფრო მალდა, თანამედროვე ქალაქის უკან, შიშველი გორების გავლით გავიძლივდა. აქა-იქ ნათესები ყოფილიყო და, ან ყვითელ ნაყანევად მოსჩანდა, ან დახნულ ნაკვეთებად გადაშლილიყო; მინა ნაწილობრივ დამუშავებინათ, ხოლო რამდენიმე მილის მანძილზე ერთ სოფელსაც კი ვერ მოპკრავდით თვალს. გარშემო მთელი მიწის ზედაპირი ბორცვიანი იყო, თითქოს საბავშვო ნიჩბებით ქვიშისაგან მოეგროვებინათ.

გარკვეულ მონაკვეთზე ჯანჯღარის შემდეგ ისევ ქვა-ლორღიან გზაზე გავდეთ. გზაზემთ, ქედის გასწვრივ მიიკლანება, სადაც საფარა მდებარეობს და ღრმა, ვინრო ხეობას გადაპყურებს. ქედის ფერდობი ზოგ ადგილას მწირი ბუჩქებითაა შემოსილი და დაბალი ხეებითაა დაფარული; მაგრამ ხევი და მოპირდაპირე ბორცვი მოშიშვლებული და კლდოვან-

ჰენრი ლინჩის მობზაურობა საქართველოში

ნისამოსს იძრობდნენ, რომ მდინარის პირას ეტყუმაპალავათ. ცოტა ხანში მათ ქობხაბებს ჩავეუარეთ. მიგვხდით, რომ სომხები იყვნენ და მათ შორის ერთის სილამაზემ აღგვაფრთოვანა. უკვე თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩაფლულიყო და აზიდული წარბებით, არწივისებური ცხვირით, ფართო შუბლითა და ნახშირივით შავი დალალებით ბიბლიურ გამირს მოგვაგონებდა.



ახალციხე

ფოტოები ლინჩისა

გავრცელებულ მცდარ შეხედულებაზე, თითქოს სომხები არ მიეკუთვნებოდნენ მეომარ რასას. ეს კაცი წმინდა სომხები იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი -იანის ნაცვლად -ო-ზე ბოლოვდებოდა. წარმოშობით ერზრუმიდან ყოფილა; მისი ოჯახი რუსეთში გადმოსახლებულა და ივანი თურქების წინააღმდეგ უკანასკნელ ომში ბრძოლის ველზე მამაცობისათვის წმინდა გიორგის ორდენით დაუჯილდოებიათ. მხარზე ხანჯალი ეკიდა,

ვლო არ ყოფილა. ნაგვიყვანეს სასტუმროში, ჩამოგვართვეს ყველა საბუთი, ნერილი და მოგვათავსეს უშუალო საპოლიციო ზედამხედველობის ქვეშ, სანამ ჩვენი სამომავლო ბედი გადასწყვეტებოდა. ფიცხელი ორთაბრძოლა კი ფოტო-ნეგატივებზე შეიქნა, რომელსაც მტკიცედ გავთხოვდა ჩვენი მჩაგვრელი. აუხსენი, რომ უმეტესობა ფირებისა ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელი იყო და გადაჭრით უარი ეუთხარი გადაცემაზე. მეორეს მხრივ სურვილი გამოვთქვი, რომ შეეძლო გამვლანების პროცესს დასწრებოდა, რომლისთვისაც მას ჩაბნელებული ოთახის მოზადება შევთავაზე. არ მახსოვს, მიიღო თუ არა მან ეს მაცდუნებელი წინადადება, მაგრამ ფირები ხელუხლებელი დარჩა.

ნება დავგვრეთ საფარის მონასტრამდე ბადრავის თანხლებით გვემგზავრა და აღმოჩნდა, რომ იმავე საღამოს თუ მომდევნო დილით პოლიკოვნიკ ალანდერის გამოჩენამ შეამსუბუქა ის უკმაყოფილება, რომლითაც ჩვენ გვიყურებდნენ. არა იმიტომ, რომ ეს ორი ძალა ერთმანეთს შეხმატებლობულად ეწყობა! ან რაოდენ მოსალოდნელი იყო მათგან მსგავსი რამ? პოლიტიკური პოლიცია განსაკუთრებით აქტიურია ციხე-ქალაქებში, როგორც ყარსი და ახალციხეა; მაგრამ ივანისაგან შევიტყე, რომ ისინი საკმაოდ ფართოდ ყოფილან მოდებული მთელს ქვეყანაში, და რომ მათი ფუნქცია სოციალისტებისა და ნიჰილისტების დევნა და, ზოგადად, მოსახლეობაში ფართო შფოთვისა და მღელვარების გავრცელებაა. „რაოდენ უგვანოა ადამიანი!“, ნამოიყვირა ერთმა ფრანგმა რომანტიკმა; მართლაცდა, რაოდენ უგვანო შეიძლება აღმოჩნდეს იგი ასეთ ნუთებში.

თუკი დილა ამ გაუთვალისწინებელ სირთულეებში გაიხარჯა, შუადლით შენუხეულ მოგზაურებს შემდგომი კონტრასტი და უხვი ჯილდო გველდა წინ. საფარის მონასტერი ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მილის! მოშორებით ვულკანური თხემის შემალვებულ ფერდობებზე მდებარეობს; იქით მიმავალი გზიდან ქალაქისა და მისი შემოგარენის ხედი იშლება, ჩვენ კი კომპლექსისკენ მივემართებთ, რომლის მთავარი ეკლესიაც არქიტექტურის მშვენიერებაა, აღსავსე სინატიფით, რომელიც ამკობს და დიდებულებას მატებს სიცოცხლეს. ცოტა ხნით აღმოსავლეთით, ახალქალაქისაკენ

ნია, ხოლო პეიზაჟი მეტისმეტად ულიმამო და ველური. სიცოცხლისა და მოძრაობის ერთადერთი ნიშანწყალი სოფლიდან აღწევდა, სადაც საცხოვრებლები მოპირდაპირე ფერდზე გაუმეზობნათ. ჩითის ლია ფერის ტანისამოსით შემოსილი გლეხები სეზონურ მარცვლეულს ლენდნენ და, როდესაც მოვბრუნდით, დავინახეთ, როგორ ეზიდებოდნენ ისინი მას პატარა ურმებით, სადაც რვა ხარი იყო შებმული, მინდვრიდან სოფლისაკენ, კახოვებზე. მარცვლეული მათ ივანის ბოლოდან მოყოლებული მოსახერხებელ ადგილებზე მოეგროვებინათ.

გავგაოცა ამ ქართული დასახლების მაცხოვრებელთა ქონებამ; რა შეიძლება იყოს იმაზე უცნაური, ვიდრე თეთრ ხელთათმანებსა და ქოლგებში გამოწყობილი ქალები, რომლებიც ასეთ ქობხაბებში ცხოვრობენ? მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე, ასევე მონასტრის სიახლოვეს რამდენიმე ასეთი ჯგუფი შემოგვეყარა, სადაც ნაშუადღევს სასეირნოდ გამოსულიყვნენ; რამდენიმე ოჯახი შორიდან ჩამოსულიყო და საფარასთან დაბანაკებულიყო, რომელიც ერთდროულად წარმოად-

მოგზაურობის მთელი ხიბლი მის მრავალფეროვან კონტრასტშია; არაფერი არღვევდა ჩვენს განცალკევებულ მოგვრილი განწყობის სიმშვიდეს, როცა კი ეს უწყინარი სურათი მოვიტოვეთ, რათა ადამიანთა ახალ ჯგუფს გავცნობოდით, თან იმგვარი გულდაჯერებით, თითქოს ამ მიწის ბატონ-პატრონი ვყოფილიყავით. წესისამებრ, თავდაპირველად, მაზრის უფროსს ვესტუმრეთ; ვფიქრობდით, რომ ამ ჯგუფის სახანავედ გავიძიდებოდა, თაფლის განსაკუთრებულ თვისებებზე გამახვილებდა ყურადღებას და, შემდეგ, მორიდებით მოგვმორიდებოდა, როცა ჩვენ მწერების ცხოვრების საიდუმლოებებზე ჩვენს კვლევას შევედგებოდით. შესაძლოა ჩვენს ქმედებაში იყო კიდევ ნასახი მსგავსი უგუნური ტყუილუბრალობისა, მაგრამ ეს ილუზიაც მსწრაფვე გაქრა.

მიგვიყვანეს ქალაქის განაპირას, სამხრეთით მდებარე ერთ დაბალ შენობასთან, რომელიც ერთმანეთზე შეწყობილ ხის ყუთებს წააგავდა, გარშემო ფართო ხის აივნებით. ეს აივნები მართლაც გამოჩნდიდნენ იყო; ხოლო, როდესაც საეჭვო შესახედაობის უსაქმურები შევნიშნეთ, რომლებიც იქვე დაყალიბდნენ, ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ თურქეთში არ ვიმყოფებოდით და ფაშას არ ვსტუმრობდით სარაიში (სასახლე - მთარგ.).


მოსამსახურებთან მცირეოდენი გამოლაპარაკების შემდეგ, რომლებიც დიდი თავზიანობით არ გამოირჩეოდნენ, გამოირკვა, რომ მაზრის უფროსი სწორედ დღეს დილით აბასთუმანში ნასულიყო. როცა მის თანაშემწესთან შეხვედრა ვითხოვეთ, ფართო-ბეჭიან მოხელესთან შეგვიყვანეს, რომელსაც თავალებსა და სახის ნაკეთებზე ეტყობოდა, რომ რუსი უნდა ყოფილიყო და დიდი სიბოთი არ დაგვხვედრია.

საერთოდ, ასე იქცვიან თანაშემწეები მთელს დუნიაზედ. მაგრამ ჩვენი იმედგაცრუება გაოცებამ შეცვალა, როცა ოთახში, არც მეტი, არც ნაკლები, უესონი შემოვიდა. მას საშინელი შესახედაობის პიროვნება ახლდა თან, რომელშიც მაშინვე შეიცნობდით პოლიციელს.

რომლის ქარქაში და ვადა ვერცხლის ჩუქურთმებით იყო შემკული; ხანჯლის პირი მისი განსაკუთრებული სიამაყე იყო, წარმოადგენდა რა უძველეს ხორასნულ ოსტატობის ნიმუშს, ქურთთანგან ნამოლებულ ნადავლს. შიშისომამგვრელი სახის ნაკუთები ჰქონდა. ზედმეტ მზეს კანი გაუხეშებინა; თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ყველა ჭეშმარიტ მომარში, რომელიც ბარბაროსი არაა, ლომის მძინვარება კრავის უწყინარობითაა განელებული. თანაშემწეს სახე მოელუშა, როცა მიძიმე ხელმა კარის სახელური გადაატრიალა და ცარიელ ფიცრის იატაკზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ივანი მიუახლოვდა და რალაც ნასჩურჩულა ყურში; გავბედე მეკითხა, რა საქმეზედ იყო მოსული ეს კაცი. თანაშემწემ მომიგო, რომ იგი პოლიკოვნიკ ტარანოვსკის, ე.წ. ჟანდარმერიის უფროსის ემიხარი იყო, რომელსაც იგი გამოგზავნა, რათა მის უფროსთან მივეყვანეთ, რომელიც, თურმე, თავად აგვისსნიდა ჩვენი მოხმობის საგანს. ჩავეძიე, ნუთუ პოლიკოვნიკი ალანდერი არ იყო ახალციხის მაზრის უფროსი, ხოლო მისი კაპიტნი უზენაესი ხელისუფლების ადგილი? მომიგეს, რომ აქ სხვა, განსხვავებული იურისდიქცია ვრცელდებოდა, რომელიც არ შედიოდა მაზრის უფროსის ზედამხედველობის ქვეშ. თანაშემწემ ხუმრობით დაუმატა, რომ თუკი სატყუალში გვიკრავდნენ თავს, იგი უძლური იქნებოდა იქიდან დავეხსენით. ვერაფერს გავანწყობდით, ამიტომ ივანს უნდა გავყოლოდით; ნეტავ მისი უფროსიც ისეთივე ჭკუის პატრონი ყოფილიყო, როგორც ეს!..

რუსეთის ამ სომხურ პროვინციებში მთელს ადმინისტრაციულ წყობას უძღვებიან ერთი მუჭა რუსის მოხელეები სომხების მეშვეობით, რომელთაც უმაღლესი მდგომარეობაც კი უჭირათ. სომხები უძველესი კულტურისა და კარგი თანდაყოლილი უნარების მქონე ადამიანია. ვერც ალღოს და ვერც უნარს ვერ დაიჩემებს მისი რუსი ზემდგომი, რომელიც მეტადრე მმართველობის სისტემის იარაღი უფროა, ვიდრე დაბადებით მმართველი; და, რომელსაც, ზოგადად აკლია სიმარჯვისა და დამოუკიდებელი მოქმედების ის თვისებები, რომელთაც, როგორც ცნობილია, აკვიდნებს უხეში ბიუროკრატია. ამასთან, რუსი მოხელეები იმგვარ მთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს დათრგუნულნი იყვნენ თავიანთი სისტემისაგან, იმ ბავშვის მსგავსად, რომელ-

1 ჩვენი მეტლის თანახმად მანძილი მთავარი გზის მიხედვით 15 ვერსტი ან 10 მილი უნდა ყოფილიყო; ბილიკით, კი რომელიც ჩვენ გავიარეთ 19 ვერსტი ან 6,5 მილი.



საფარა

ვენს როგორც მოსალოც, ასევე საზაფხულო დასასვენებელ ადგილს. მსგავსი ჩვეულება ექვგარეშეა გავრცელებული იქნებოდა ზემო ქართლის ყოველს შემდეგ მმართველებში, საქართველოს ამ მივარდნილ და ვრცელ პროვინციაში, რომელიც მოიცავდა მტკვრისა და ჭოროხის ზემოწელს და მთებს აჭარიდან კოლხეთის სანაპიროებამდე. ათაბაგების სახელეთ ცნობილი მმართველების ზეობის ხანა მეთოთხმეტე, მეთოთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეები იყო. ქართველ მეფეთაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მხოლოდ მოგვიანე-



მუსიკოსი მესხე. საპარამუნო პარამუნის გიგანტური ფოტო არქივიდან.

ქიქის მთა, ხეობის ხეობის გვირგვინი - ჯორჯოვლის წმინდა

ერთ აზერბაიჯანელ მეფეს ჰყოლია მცოდნე მეფეებზე ალიქიში. მეფეებზე თვითონვე მწიგნობარებს ცხენებს. ერთ დღეს მეფეებზე ჩვეულებრივად ჯორჯო მთის დასასრულად ზღაპრით ჩარეკა. შენიშნა, რომ ზღვიდან ზღვის ცხენები ამოვიდნენ და მეფის ჯოგს შევირინენ. ასე მორიგდებოდა თითქმის ყოველ დღეს. მეფეებზე ზღვის ცხენებსაც აძოვებდა. მეფეებზე ზღვიდან ზღვის ცხენები ამოვიდნენ და მეფის ჯოგს შევირინენ. ასე მორიგდებოდა თითქმის ყოველ დღეს. მეფეებზე ზღვის ცხენებსაც აძოვებდა. მეფეებზე ზღვიდან ზღვის ცხენები ამოვიდნენ და მეფის ჯოგს შევირინენ.

დით გამოუტანა შეკვეთილი ხმალი. მამინ მამამ ხმალი შვილს იქვე გადაულოცა და ხმალის ირან ყარჯი (ირანის ხმალი) უწოდა. მასალა, რისგანაც ხმალი იყო დამზადებული, თურმე, უცხო პლანეტიდან ყოფილა ჩამოვარდნილი.

ყველაფერი კარგად მიდიდა, სანამ მეფეს სტუმრად მეზობელი სახელმწიფოს მეფე არ ეწვია და სანამ მასამბეღამ არ გადაწყვიტა სტუმრის სიაში შეიყვანა კვიცივის წყვებით. ამიტომ მეფეებზე დაუბარა, რომ დალისთვის თავლაში ორი საუკეთესო კვიცი დაეტოვებინა. ალიქიშიმ ახალი ვიშის კვიციები დატოვა, მაგრამ კვიციები შეუხედავებელი იყვნენ. მეფე არ მოელოდა მსგავს საქციელს საკუთარი მეფეებისაგან, რომელსაც თვალდახუჭული ენდობოდა. სანამ მეფეებს დაუბარა და დაუნიშნა საკუთარი მეფეებისთვის თავლები დაეთხარა. რასაც ის თვალდახუჭული ვერ იხედავდა, რად უნდა ის თვალდახუჭული. მართლაც დასიხარეს მეფეებზე თავლები. ალიქიში იძულებული შეიქმნა გამოეშინებინა იქაური და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მეფისთვის გასამსჯელი ეთხოვა ერთგული მუშაობის საფასურად. მეფემ ის ორი კვიცი მისცა, რომლებიც ალიქიშიმ სტუმრისთვის აარჩია იმხელა ჯოგად.

როცა ბიჭი ნამოხარდა, მამამ გამოიყვანა ბნული თავლიდან კვიციები და სახელები შეარქვა; ერთს ვრად (თეთრონი) დაარქვა, მეორეს – არაბ ათ (არაბის ცხენი). სახელების შერჩევის შემდეგ შვილი შესვა თეთრონზე და ჯერ ქვიან მთებზე, შემდეგ ეკლიან ბუნებებში და, ბოლოს, ქალაქში გაატყენებინა. ცხენმა ყველა დამბრკოლება გადალახა და სრულიად უვნებელი დაბრუნდა პატარა მხედართან ერთად.

მამამ შვილს რომ გაუწვინა იქაური დატოვების სურვილი, შვილის სურვილიც ასეთი იყო, მაგრამ სანამ მეფეს არ მოკლა, რომელმაც მამა ასე დაუარა, საფლავშიც ვერ მოსვენებდა. მართლაც ქოროლიმ მოკლა მეფე, ამოჰყვინა მეფის მრავალი ძეგლი და მამასთან ერთად ჩაბლილილი (აღვლია) დაბინავდა. აიშენეს იქაც სახლი, თავლა და დაიწყეს უდარდელი ცხოვრება. ქოროლიმ სანადირად დაიღობა და მამისაგან ჰქონდა ვაგებულო, რომ მიეღო, სადაც თვითონ ნადირობდა, დალი პასანს (გაიქი პასანი) ეკუთვნოდა.

როცა მეფემ უნდა შეცვლილიყო, მამამ შვილი კლდეზე ასასვლელად მოაწვინა და სთხოვა, ჭურჭელი აიტანა და იქიდან სამკურნალო წყალი მისთვისაც ჩამოეყვანა.

ალიქიში და მისი ვაჟი დასახლდნენ გაშლილ მდელოზე, რომელიც ვარძიორთქმული იყო მალაღი და განწვანებული მთებით, იქვე მოეგინებოდა ცივი წყალიც. მამა-შვილმა წვლივით აიშენეს სახლი და თავლა. მეფეებზე საკუთარი გამოცდილებიდან გადაწყვიტა კვიციები სიბნელეში გაეხარდა, ამიტომ თავლაში შეიყვანა წყალი კვიციებისათვის.

ქოროლი კლდეზე ავიდა მთვარის გამოცვლის დროს, ანუ ახალი მთვარის ამოსვლის დროს. თეთრ კლდეზე წყალმა ამოხეთქა, ბიჭმა მიე იბანა, წყალი დალია კიდეც და ჩამოსვლა დაიწყო. საუბედროდ ჭურჭელი დაივიწყდა და მეორედ ავიდა, მაგრამ, წურისა უკაცრავად, იქ წყლის ნვეთიც ვერ ნახა. ალიქიში იმედი ჰქონდა, რომ იმ წყლის დახმარებით დაბრუნებდა თავლის ჩინს.

ერთ დღეს, ჩვეულებრივად, სანადიროდ მიყოფოდა ჰურუნმა მუხედა დალი პასანს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ისინი დაეჭიდნენ ერთმანეთს. დალი პასანს მიხედა, რომ ქოროლი მისზე ძლიერი იყო და გაასვენდა საკუთარი ფიცი, რომლითაც ის თავისზე ძლიერს ეყის ცხოვრება. ერთხელ მეგობრებმა შენიშნეს, რომ მათი ტანდაბალი კაცი მოემართებოდა. მოუხედავად ტანის სიბატარავისა, მეგობრმა გზად შეხედროდა ყველა დამბრკოლება გადამოილახა. სწორედ ვაუკაციბის გამო დაუმეგობრდნენ ქოროლი და დალი პასანი ქუჩურ პასანს (პატარა პასანს). სამივე ერთად გადაწყვიტეს მეფისა და ბატონების წინააღმდეგ მათ ვარძი ჩასახარება. ისინიც არავის უარს არ უთხერებოდნენ. 7777 ჯარისკაცი შეკრიბეს, მაგრამ ჩანერა და მიღება მათაც ვეცდებოდნენ.

ალიქიშიმ ვაჟს სახელად რეფანს (აზერბაიჯანულად), იგივე ჰურუნს (თურქულად) ერქვა. მას შემდეგ რაც ალიქიში მეფემ თავლები დასთხარა, შვილს ქოროლი (უსინათლოს შვილი) უწოდეს. ერთ დღეს ქოროლიმ საკუთარ ყანაში შენიშნა ხბო და მის გასაგდებად გასწია. აილო ერთი მოზრდილი ქვა და ხბოს ესროლა. მაგრამ სასწაული მოხდა: როცა ქვა ხბოს არ მოხვდა და ხბო მაინც მოკვდა, ბიჭმა ეს ამბავი მამიდან მამის მოახსენა. მამამ კი დაუბარა: – ხბოს პატრონი რასაც მოგთხოვს, ორმაგი შეაძლიე, რომ არ დაგწყველოსო. ის ქვა კი აქ მომხიბნენ. შვილიც ასე მოიქცა.

ქუჩურ პასანმა ქოროლის გაუწვინა საკუთარი ეჭვები იმის თაობაზე, რომ მისი შესაფერისი საცოლე

სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ხალხური გამონათქვამები

- ავიაო, შავიაო, ქალო შენი ქმარიო.
- ამქვეყნად უცვლელი არაფერიაო.
- არაზილი კაცი არაზილობას ვერ მოიმოლისო.
- ბავშვს ჰკითხეს რატომ ტირი, გამდის და მიტომ ვტირიო.
- ბავშვისა საყვოვო ქაშაშაო.
- ბავშვი ოჯახის სარკეაო.
- ბავშვსა საყვოვო ორპირიაო.
- ბედი ხნავს და ბედი თესავს, ბედი მოიყვანს ყანასაო.
- ბოზს ბოზობა არ გამოუვიდა და მატან-კლობას მიჰყო ხელიო.
- გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა რა მოჰქონდაო.
- დოღრილასთან საუბარს აზრი არ აქვსო.
- ერთი პირის ჭირიმე, ბევრი ხელისაო.
- ერთმა ზედმეტმა კვერცხმა აქლემი მოკლაო.
- ერთხელ ნეხვაც აყვავდებოაო.
- ვირზე შეჯდა (ვირით გაჯუჭვლა).
- თავისთვის ტლახობსო (ბუტუსარაობსო).
- კატა არა ფერით, არამედ ქცევით უნდა შეამომნო.
- კატის მანძილი თაროაო.
- კერა მოითხოვსო.
- კერკეტი კაკალიაო.
- ლაპარაკი ლაპარაკა ცხენი გაჰყვა ამხანაგასო.
- მეფემ სამი დღის სიცოცხლისათვის

- ძაღლის ლეკვი შეჭამაო.
- მეფეს კატაც შეხედავსო.
- მულის ტყავი ჩამოვარდა და ცხრა რძალი დაიტანაო.
- მუცელს ააღორებ, ღორია, ააქორებ ქორიაო.
- სადაც კვამლი მაღალი, მეც იმისი მაცარიო.
- სულელს თავზე აფსამდნენ, რა უფუხა წვიმა მოდისო.
- ტიკი გაძლა, ტიკტორა ვერაო.
- ფეხზე ნისქელის ქვა აბიაო.
- ქალი ოჯახის სარკეაო, ოჯახი კიდე სოფლისაო.
- ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა ნაწინიურო.
- ქარი მზეს ამოჰყვება და მზეს ჩაჰყვებაო.
- ქვა არა აღმართში, არამედ დაღმართში გორდებოაო.
- ქვის სიმარგეს კბილით ნუ გასინჯავო.
- შატამუტა კაცისაგან სიკეთეს ნუ ელო.
- შავი ძაღლი თეთრი ძაღლი ორივე ძაღლიაო.
- ძილმა ძილი იცისო.
- წინდის ყელივით აქვს პირი მორდევულიო.
- ყვავმა ყვავს უთხრა შე სკინტილიანო.
- ჯოჯოხეთის ერთი მამხალა აკლდა და ისიც დაემატათო.

ჩაიწერა ტინა იველაშვილმა

ვინმე აღფშას ჰყოლია. ქოროლიმ არ დააყოვნა, დაუტოვა სახლ-კარი მეგობრებს და თვითონ ქალის სათხოვნელად გასწია. მეფეს მოეწონა სასიძო, და აქორინა თავის ერთადერთ ქალიშვილზე და მთელი ქონებაც მათ გადაულოცა. სამი თვის შემდეგ ქოროლიმ დააპირა მამულში დაბრუნება ცოლიანად, მაგრამ მომინახანებმა ვერ მიატოვა მოხუცებული მშობლები და დასცილდა ქმარს. ქოროლიმ მუელ-ლეს დაუტოვა ოქროს ბაზუმული (მარჯვენა მკლავზე გასაკეთებული მოთქოვითი სამკლავი, რომელიც დაიცავდა მეომრის მარჯვენას დაჭრისაგან ბრძოლის დროს) და უთხრა: თუ ბიჭი შეგეცინოს, ეს მამისაგან ჰქონდეს, მეც შემატებინე ჩვენი ბიჭის დაბადება, რათა სახელი შევეწრიო. თუ გოგო გვეყვოლოს, თვითონ იზრუნე მის სახელზე, ეს ოქრო კი სამკლავებად მოახმარე.

ჩამოღობის საზღვარზე რომ გადავიდა, ცხენი მოუშვა საბაზუმოდ, თვითონ კი დასაძინებლად მიწა. მესაზღვრეებმა შენიშნეს თუ არა საზღვრის დამრღვევი, მაშინვე შეატყობინეს ქოროლის. სტუმართან მისულმა მასპინძელმა ეჭვის თვლით შეათვალიერა სტუმარი. ისინი ერთმანეთს არაფრის დიდებით არ გაეცნენ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დაეჭიდნენ. ორჯერ სძლია ქურთოლიმ ქოროლის, მაგრამ არც ერთხელ არ უცვია მისი მოკლა. ხოლო როცა ქოროლიმ, რის ვაივაგლავით, წამოაქცია მეტოქე, იშვილა ხმალი და მისი მოკლა გადაწყვიტა. ამ დროს გაისმა ხანუშების საყვილური: „არა გრცხენია ქოროლი, ის ბიჭი ორჯერ მოგერია და არც ერთხელ არ უცვია შენი მოკლა, შენ კი როგორ იქცევი?“ ამ სახელის – „ქოროლის“ გაგონებზე ქურთოლის გაეცინა. მასპინძელმა ვერ ახსნა სტუმრის უცნაური საქციელი და მიზეზი ზოდის მოხდით იუთხა. პასუხად მეტოქემ მარჯვენა ხელი გაუნოდა. ქოროლიმ



იცნო საკუთარი ბაზუმული და ჰკითხა, თუ საიდან ჰქონდა. ქურთოლიმ უამბო, თუ რატომ დაუშალა მომინახანებმა ქოროლის მათი შვილის დაბადების ამბავი და ისიც უთხრა, თუ რატომ ერქვა ასეთი უცნაური სახელი – „ქურთოლი“.

შვილმა მამას უთხრა, მეუღლე რომ ჰყავდა, მამამ მეფესთან ვაგზავნა მყურები, მოაყვანინა მოყვრები და დიდი ღვინო გადაიხადეს.

მთქმელი ბიორბი იოსების ძე ხუციშვილი, 72 წლის, სოფელი ხოსპო, ახალქალაქის რაიონი. ჩაიწერა მარია ჭავჭავაძის შვილი 2000 წელს, ახალქალაქის მე-3 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. მოგვარდა ციური ლაშქარმა 2016 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ღამშუქანებელი: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რედაქციის მისამართი:
გაზეთი რედაქციის მისამართი: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit_meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დამამუშავებელი:
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit_meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com